# არგონავტები
## სრულმეტრაჟიანი ნახატი ფილმი
## მუსიკალური-კომედია
## სცენარი

**პირველი ეპიზოდი. სულეიმანის გაცილება, ღამე. მთვარის შუქით განათებული ზღვის სანაპირო.**

ძალიან დიდი ხნის წინ, შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის სამეფო არსებობდა. კოლხეთის მეფე აიეტი, რამოდენიმე მხედართან ერთად, ცხენზე ამხედრებული, ჩორთით მიუყვებოდა ზღვის სანაპიროს. მხედართა შორის უცხოელი სტუმრებიც იყვნენ. „არუსტანის“ მოხუცებული მეფე, მსუქანი კაცი, სულეიმანი დაბალ ცხენზე იჯდა და აიეტს ქვემოდან შესცქეროდა. სულეიმანი რაღაც იყო დარდით შებყრობილი. აიეტს მკაცრი სახე ჰქონდა. ორივენი ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ. მხედრების ბოლოს, თავჩაქინდრული სულეიმანის ვაჟი მოჩანჩალებდა. სულეიმანი ერთს ამოიოხრებს და აიეტს ახედავს.

**სულეიმანი**

ეს რა უბედურება დამატყდა თავს. ასეთი რამ არასოდეს დამართია, ჩემს ულვაშს ვფიცავარ. ქვეშაფსია რომ ყოფილიყო საქორწილოდ ხომ არ ჩამოვიყვანდი?

სულეიმანი თავის ვაჟს გახედავს.

ახალგაზრდა ვაჟი ბეჭებში მოხრილა, თავი თითქმის ცხენის კისერზე აქვს დადებული. სულეიმანი თავს გადააქნევს და ისევ აიეტს ახედავს.

**სულეიმანი**

ჩვენი ძველი მეგობრობის იმედი მაქვს ჩემო აიეტ, რომ ამ ამბავს არ გამიბაზრებ.

**აიეტი**

მე, მე არა, მაგრამ . . .

**სულეიმანი**

მთავარია, შენ არაფერი თქვა. ხომ იცი, შენს სიტყვებს რა ფასი და ძალა აქვს.

**აიეტი**

ეჰ, ჩემო სულეიმან. რაღა მნიშვნელობა აქვს ჩემს სიტყვებს? ახლა, უკვე მთელმა კოლხეთმა იცის, რაც

გუშინ შენს ვაჟს დაემართა. ჩემებმა რომ არაფერი თქვან, შენს მონებს რა გააჩუმებს.

სულეიმანი წინ მიმავალ, ჩირაღდან ანთებულ მონებს გახედავს.

**სულეიმანი**

ამათ, ყველას თავებს დავაყრევინებ, ხვალვე.

**აიეტი**

ისე, ცოლის მოყვანას რომ აპირებდა არ უნდა გეკითხა ღამით ხომ არ იფსამთქო?

სულეიმანის ბიჭი უეცრად წამოიყვირებს და ხმამაღლა ატირდება.

**დარიუსი**

მამი, მა ა ა ა მ ი ი.

სულეიმანი ცხენს შეაჩერებს. აიეტი ოდნავ წინ გადის. დარიუსი მამასთან მივა და სულეიმანის ცხენზე გადაფოფხდება. სულეიმანი შვილს თითქოს კალთაში ჩაისვამს.

**სულეიმანი**

მამა მოგიკვდეს, ჩემო უბედურო შვილო.

ატირებული დარიუსი მამას ჩაეკვრება. სულეიმანი ცხენს დეზს კრავს, აიეტს ჭენებით ჩაუვლის და მიაძახებს.

**სულეიმანი**

შენი სიტყვის იმედი მაქვს.

აიეტი თავს დაუქნევს, მერე ცხენს შემოატრიალებს და უკან ჭენებით ბრუნდება. აიეტს, მისი დაცვის მხედრებიც გამოყვებიან. სულეიმანი, დარიუსი და მათი დაცვა გემზე ადიან, სადაც მათ თავდახრილი, Dდაჩოქილი, ჩირაღდან ანთებული მონები ხვდებიან.

სანაპიროზე, მოფარებული ადგილიდან, მედეა, ჩანი, გოლიათი და ანანო უთვალთვალებდნენ სულეიმანის გაცილებას. აიეტს ერთადერთი, ულამაზესი ქალიშვილი, მედეა ჰყავდა. მედეას კი ჩინელი მასწავლებელი აღმოსავლეთის მაგი ჰყავდა, მას ჩანი ერქვა. ჩანი, მედეას ჯადოქრობის საიდუმლოებას ასწავლიდა. მედეას სხვა აღმზრდელიც ჰყავდა, შუა ხნის ქალი, ანანო. ანანოს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა, ის ყველა კაცს ეპრანჭებოდა. ერთნაირად კეკლუცობდა მოხუცთან თუ ახალგაზრდა ვაჟთან.

**მეორე ეპიზოდი. აიეტის სასახლე. მეგობრების საზეიმო სიმღერა და ცეკვა.**

მედეა, ჩანი, ანანო და Gგოლიათი მხიარულად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ, რომ კიდევ ერთი უნიათო სასიძო შეაშინეს.

**ანანო**

ჩვენ არ გვინდა, რომ მედეას
სიყვარული არა ჰქონდეს.
ლამაზ თვალებ უცხო რაინდს,
ვაჟკაცობა არა ჰქონდეს.

**ჩანი**

გავისტუმრეთ კიდევ ერთი,
დიდგულა და ბრიყვი პრინცი.
მამის კალთას გამობმული,
მომტირალე, მომცრო ბიჭი.

**გოლიათი**

შევაშინე, გადავრიე,
გზა მოვუჭერ ზემოდან.
რომ გარბოდა ისე სწრაფად
ჩემს ნახვას არ ელოდა?

**მედეა**

გათხოვდიო რომ მეძახი,
მამა, აბა მე რა ვქნა?
თუ კი გულმა სიყვარული
იქნებ ახლა ვერ ნახა?

**ოთხივე**

დღე და ღამე ჩვენ ვთამაშობთ,
ყველა გამვლელს ვაცინებთ.
ქვეშაფსია სასიძოებს
გველეშაპით ვაშინებთ.

**ჩანი**

ჯადოქრობის საიდუმლოს
დღეს მედეა კარგადა ფლობს.
მის თვალებში ანთებული
მზე და მთვარე თამაშობს .

**ანანო**

სიყვარულის ელექსირით
ღრმა ფიალა ივსება.
ქალის გული სხვისკენ იწევს
სულაც არ ედარდება.

**გოლიათი**

შებრძოლების ჟინი მიბყრობს,
როცა ვხედავ ამდენ რაინდს.
გაბრაზებით ცეცხლსაც ვაფრქვევ,
არ დავუთმობ საწმისს არვის.

**მედეა**

რა ვუყოთ რომ ჩემი გული
ჯერ სიყვარულს ვერ ხვდება,
იქნებ მართლა არ არსებობს
საოცნებო ფერება.

**ოთხივე**

დღე და ღამე ჩვენ ვთამაშობთ,
ყველა გამვლელს ვაცინებთ.
ქვეშაფსია სასიძოებს
გველეშაპით ვაშინებთ.

**მესამე ეპიზოდი. აიეტი მედეასთან შედის.**

გაბრაზებული აიეტი, მედეას ოთახის კარებს ხმაურით გამოაღებს. ოთახში მყოფნი სიმღერასა და ცეკვას შეწყვეტენ.

**აიეტი**

ისევ თქვენი ხრიკები არის ხომ?

აიეტი ჩანის მიმართავს.

**აიეტი**

შენ იმიტომ ჩამოგიყვანე, რომ მედეას ასწავლო და
არა მისი სასიძოები დააფრთხო.

ჩანს გაეცინება.

**ჩანი**

მასეთი სასიძო ნამდვილად დასაფრთხობი იყო.

**აიეტი**

ეს შენი საქმე არ არის!

**მედეა**

მამა, ის დარიუსი თუ დარია, ოდნავაც არ მომეწონა. აბა ერთი მითხარი, როგორ გავყვებოდი ცოლად, ა?

აიეტი თითებით პატარა სივრცეს აჩვენებს.

**აიეტი**

ამდენადაც არ მოგეწონა?

მედეა იმეორებს მამის ჟესტს.

**მედეა**

ამდენადაც არ მომეწონა.

აიეტი თითებს შორის მანძილს აპატარავებს.

**აიეტი**

ამდენადაც? ამდენადაც?

**მედეა**

ამდენადაც, ამდენადაც არ მომეწონა.

ანანო აპირებს რაღაცის თქმას.

**ანანო**

მე, მე . . . .

აიეტი უეცრად იცვლის ხასიათს

**აიეტი**

შენ გაჩუმდი! სულ შენი გადარეული არის ეს სულელი გოგო.

**ანანო**

მე რა შუაში ვარ. მე რა დაგიშავეთ ჩემო ბატონო?

**აიეტი**

სწორედ რომ შენ ხარ შუაში. შენ აურიე ამ სულელ თავში აზრები. ვინ არის სასიყვარულო ლექსებს და სიმღერებს რომ ასწავლის?

გოლიათი ანანოს დაცვას ცდილობს.

**გოლიათი**

ჩემო მბრძანებელო . . .

**აიეტი**

შენ საერთოდ ხმა არ ამოიღო. შენ აქ რა გინდა, სად უნდა იყო დაგავიწყდა?

**გოლიათი**D

დღეს, სავსე მთვარეა. ერთი დღე გამოსასვლელი მაქვს. სხვას ყველას კვირაში ორი დღე აქვს დასვენება, მე კი თვეში ერთხელ ვისვენებ, სხვათაშორის.

**ჩანი**

ახლავე ყველაფერს მოვაგვარებთ, ჩემო ხელმწიფეო.

**აიეტი**

სულ "ჩემო მბრძანებელო" "ჩემო ხელმწიფეო"-ს იძახით და ისე იქცევით, როგორც თქვენ გინდათ.

აიეტი მოტყდება, დამშვიდდება. ტახტზე ჩამოჯდება. მასთან მედეა მივა, კალთაში ჩაუჯდება, მოეფერება, აკოცებს.

**მედეა**

აბა, მამა მითხარი, რად გინდოდა ისეთი სიძე, რომელიც გველეშაპის დანახვაზე მაშინვე იფსამს?

**აიეტი**

მაშინვე შეშინდა ხო?

**გოლიათი**

მხოლოდ ერთი შევუღრინე . . . ღღღ, აი ასე.

აიეტს გაეცინება.

**აიეტი**

მართალი რომ გითხრათ, არც მე მომწონდა ძალიან,
მაგრამ ჩემი ძველი მეგობრის, სულეიმანის ბიჭი იყო
და არ უნდა მიმეღო? აბა, რა უნდა მექნა?

ანანო, მედეას თვალს ჩაუკრავს. მედეა, ჩანი, ანანო და გოლიათი ისევ სიმღერასა და ცეკვას იწყებენ და აიეტის გარშემო ტრიალებენ.

**ოთხივე**

დღე და ღამე ჩვენ ვთამაშობთ,
ყველა გამვლელს ვაცინებთ.
ქვეშაფსია სასიძოებს
გველეშაპით ვაშინებთ.

**მეოთხე ეპიზოდი. გოლიათის გველეშაპად გადაქცევა.**

თენდება, სავსე მთვარე სადაც არის გაფერმკრთალდება. მალე გარემო დღის სინათლით აივსება. ჩანი, მედეას ჯადოსნური ელექსირის მომზადებას ასწავლის.

**ჩანი**

ამ მცენარეებისა და მარტორქის რქის ნახარშს,
დაუმატებ რამდენიმე წვეთ ხვლიკის წვენს.

ჩანი ჭურჭლიდან ხვლიკს ამოიყვანს. ხვლიკი წინააღმდეგობას უწევს, არ უნდა წვენი გამოადინონ. ჩანი ხვლიკს ეუბნება.

**ჩანი**

რა იყო, რამ გადაგრია ალექსანდრე, პირველად ხომ
არ გწურავ?

ხვლიკი თავს გააქნევს, მაგრამ დანებება მაინც არ უნდა.

**ჩანი**

შეხედე, ვინ უნდა გამოგწუროს დღეს.

ჩანი ხვლიკს მედეას დაანახებს. ხვლიკი სიამოვნებისაგან გაიბადრება. ჩანი ისარგებლებს ალექსანდრეს დაბნეულობით და მას, რამდენიმე წვეთ ცრემლს გამოწურავს.

გასაცოდავებული და მოტყუებული ხვლიკი, ჩანს ხელიდან გაუსხლტება და მედეას შეახტება.

**ჩანი**

ერთი წვეთი დაგვრჩა.

ალექსანდრე თავს გააქნევს. ჩანი ცდილობს ხვლიკი დაიჭიროს, მაგრამ მედეა მას არ აძლევს. ალექსანდრე კმაყოფილია და ჩანს სხვადასხვაგვარად დაღრეჯილ სახეებს უჩვენებს. მედეა იცინის და ჩანს ხვლიკს არ უთმობს.

**ჩანი**

კარგი, ერთი წვეთიც შენ ჩააწვეთე.

ალექსანდრე მედეას სიამოვნებით ნებდება. მედეა ხვლიკისგან ცრემლის წვეთის გამოწურვას ცდილობს, მაგრამ ხვლიკიდან ცრემლი არ გამოდის. ხვლიკის კანიდან სისხლის წვეთი გადმოგორდება და ჭურჭელში ჩაეწვეთება. მედეას, ხვლიკი ხელიდან გაუსხლტება და ჩანის ოთახიდან გაიქცევა. მედეა ცდილობს ხვლიკის დაჭერას, ის ალექსანდრეს გარეთ გაყვება. ხვლიკი და მედეა მხიარულობდნენ, თითქოს დაჭერობანას თამაშობდნენ. ჩანის ოთახში გოლიათი შემოდის, ის აღგზნებულია.

**გოლიათი**

რა კარგია ადამიანად ყოფნა. ლაპარაკობ, მღერი, ცეკვავ.

**ჩანი**

ჩვენ აქ საცეკვაოდ ან სამღერად არავის მოვუწვევივართ.

**გოლიათი**

ეს შენ მოგიწვიეს, მე კი წამოგყევი.

**ჩანი**

შეგეხვეწა ვინმე რომ მომყვებოდი? თუ წამომყევი, ახლა აკეთე შენი საქმე, რომელსაც გავალებენ.

**გოლიათი**

არ შეიძლება ადამიანის სახით ვდარაჯობ იმ გამხმარ ტყავს?

**ჩანი**

გამხმარი?! ეს შენ გგონია მასე. შენი უჭკუო თავით ფიქრობ, რომ მარტო იმ ნაფლეთის გულისათვის დაგსვი იმ გამოქვაბულში?

**გოლიათი**

მე არ ვიცი რისთვის ვარ მიგდებული იმ სირისტში. უკვე რამდენიმე წელია ამ ტყავის სანახავად არავინ მოდის. თავიდან სულ სხვაგვარად იყო, დღე არ გავიდოდა ვინმეს არ შევბრძოლებოდი.

**ჩანი**

Dდაიცა, ყველაფერი წინ გაქვს.

**გოლიათი**

შენ რა იცი, რომ ყველაფერი წინ მაქვს? შენ შენი თავისთვის ვერ მიგიხედავს, სხვისი საქმეების რა უნდა იცოდე.

**ჩანი**

დაიწყე ხომ ისევ? შენი საქმეებისთვის ვერ მიგიხედავს? აქ რა გვინდა? წავიდეთ ჩვენს სამშობლოში . . .

ჩანი გოლიათს ელექსირს დაალევინებს. გოლიათი უხალისოდ, მაგრამ მაინც დალევს ელექსირს. რამდენიმე წამში, გოლიათი გველეშაპად იქცევა. ჩანის გასაკვირად, გველეშაპი ლაპარაკს განაგრძობს.

**გველეშაპი**

თავი მექავება, თავი . . მე რა, ვლაპარაკობ?

ჩანს მხიარულად კუდს გაკრავს, ჩანი ამოყირავდება და კედელს შეასკდება.

**ჩანი**

ფრთხილად, შე მხეცო.

**გველეშაპი**

ვლაპარაკობ ხომ? მოლაპარაკე გველეშაპი გავხდი ხომ? ამდენ ხანს რატომ არ მალაპარაკებდი, მარტო რომ მაყმუვლებდი?

**ჩანი**

რაღაც შემეშალა, თორემ შენ ხმას როგორ ამოგაღებინებდი.

**გველეშაპი**

კარგი რა, (ჩანს გაეპრანჭება) არ თქვა, რომ ჩემი ხმის გაგონება არ გიხარია.

გველეშაპი გადაიხარხარებს და ცეცხლის ალს ამოუშვებს პირიდან. ცეცხლი ჩანის ადგილსამყოფელს მოედება, ჩანი ცეცხლის ჩაქრობას ცდილობს.

**ჩანი**

შენ გამო, ყოველთვის პრობლემები რატომ უნდა მქონდეს?

**გველეშაპი**

ჩემ გამო კი არა, შენ გამო მაქვს მე პრობლემები.

გველეშაპი, ჩანს კუდით ფრთხილად გვერდით გაწევს, ფეხს აწევს და ცეცხლს მიაფსამს. ცეცხლი ჩაქრება.

**მეხუთე ეპიზოდი. კენტავრი ხირონი იაზონს ავარჯიშებს.**

კენტავრი ხირონი ახალგაზრდა იაზონს ებრძოლება. კენტავრი ძლიერი მებრძოლია, მაგრამ არც იაზონი ჩამოუვარდება. საბოლოოდ, იაზონი ამარცხებს კენტავრს და მას ყელზე ხმალს მიაბჯენს.

**ხირონი**

კარგი, კარგი, …ჰო, დავმარცხდი. გაიცინებს კენტავრი. უნდა ვაღიარო, რომ ღირსეული მოსწავლე აღვზარდე. ნამდვილად დაგამარცხებდი, ეს ოხერი ხე ფეხებში რომ არ წამომდებოდა.

იაზონი სიხარულისგან ყვირის

**იაზონი**

ეეეეე . .

**ხირონი**

აბა, რა მოგივიდა, ბებერი ცხენკაცას დამარცხება ასე გაგიხარდა?

**იაზონი**

ნუ ისაწყლებ ახლა თავს. როცა გინდა ახალგაზრდა ხარ, დედალ კენტავრებთანაც კარგად დარბიხარ.

**ხირონი**

ეგ შენი საქმე არ არის. მე მარტოხელა კაცი ვარ და ვისთანაც მინდა იმასთან გავიქცევი.

**იაზონი**

საწყენად არ მითქვამს.

**ხირონი**

არც მე მწყენია, ცოტა გული მეტკინა.

**იაზონი**

შენ არ მასწავლი, სიმართლემ გული არ უნდა გატკინოსო?

ხირონი ჩაფიქრდება, სიტყვებს ეძებს, ფიქრობს თუ რა უპასუხოს იაზონს, მერე ხელს დაავლებს ყმაწვილს და ზევით აიტაცებს.

**ხირონი**

სიმართლე?! სიმართლეს გააჩნია!

კენტავრი იაზონს ზურგზე მოიგდებს და გზას ჭენებით გაუდგება. გახარებული და აღგზნებული იაზონი ისევ გაჰკივის

**იაზონი**

ეეეეე . .

**ხირონი**

გაჩუმდი რა, ყური მატკინე.

იაზონი ერთს გადაიხარხარებს და კენტავრს წკეპლას შემოკრავს. კენტავრი ცხენივით დაიჭიხვინებს, ყალყზე შედგება და უფრო მეტი სისწრაფით გაქანდება კლდის ნაპრალისაკენ. მერე, უშველებელ ხრამზე გადახტება და დაბლა დაშვებულები ბურთებივით გაგორდებიან.

ხირონი

მართლა ღირსეული მოსწავლე ხარ.

იაზონი

შენი დანაპირები თუ გახსოვს? აი, ამ ადგილას სიტყვა მომეცი, როდესაც ბრძოლაში დაგამარცხებდი, ჩემი დაბადების საიდუმლოებას გამიმხელდი.

ხირონი

რომელ საიდუმლოებას?

Kკენტავრი თავს მოისულელებს, თითქოს იაზონის შეკითხვა ვერ გაიგო.

იაზონი

სულელს ვგავარ ახლა მე?

ხირონი

მე ეს არ მითქვამს!

იაზონი

არც სხვა არაფერი არ გითქვამს.

ხირონი

ვიცი.

იაზონი

რა იცი.

ხირონი

რომ არაფერი არ მითქვამს.

იაზონი

მერე?

ხირონი

რა მერე?

**იაზონი**

რა და საიდუმლო.

**ხირონი**

ააა!

**იაზონი**

სიტყვას ტეხ?

ხირონი უეცრად განრისხდება.

**ხირონი**

ვინ?! Kკენტავრი ხირონი ტეხს სიტყვას?!

**იაზონი**

აბა სხვა კენტავრს ხედავ აქ?

იაზონი აქეთ-იქეთ იხედება და იძახის.

**იაზონი**

ეი, ეი. რომელი ხარ მანდ?

**ხირონი**

კარგი, კარგი, არ გინდა ახლა ამდენი აურზაურის ატეხვა. ვინმემ შემთხვევით ყური არ მოკრას.

იაზონი განაგრძობს ძახილს.

**იაზონი**

ეი . . ეი

**ხირონი**

ხომ გითხარი, Gგაჩუმდითქო!

**იაზონი**

არ გავჩუმდები, ეი!

**ხირონი**

გამაგიჟებს ეს ბავშვი. ნეტავ ვისი სიჯიუტე დაყვა? რომ არ გამეზარდე, ახლა ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. საჭირო არ იქნებოდა დამშვიდობება, ცრემლები, სასიყვარულო სიტყვები . . . ბრრრ

კენტავრი თავს გააქნევს.

**იაზონი**

აბა რა ხდება, ვყვებით თუ არა?

**ხირონი**

ვყვები, აბა რას ვშვრები?

**მეექვსე ეპიზოდი. კენტავრი ხირონი იაზონს უყვება მისი წარმოშობის ამბავს.**

**ხირონი**

იაზონი იოლკუსის მეფის, ესონის შვილი არის. ესონი, ბიძაშვილმა პელეამ ტახტიდან გადმოაგდო და დაატყვევა. პელეამ მისი ყველა შთამომავალი გაანადგურა. ესონის მხოლოდ ერთი ცოლი, ალსიმედე გაიქცა და პატარა იაზონი სიკვდილს გადაარჩინა. ალსიმედეს ეშინოდა, რომ პელეა იაზონს იპოვნიდა და მოკლავდა. ამიტომ იაზონი, კენტავრ ხირონთან გადამალა. კენტავრმა გაზარდა, ბევრი სიბრძნე და საბრძოლო ხელოვნება ასწავლა იაზონს. ახლა დადგა ჟამი, რომ იაზონმა კუთვნილი სამეფო ტახტი დაიბრუნოს.

**მეშვიდე ეპიზოდი. ჩანის ლაბორატორია.**

მედეა და ანანო ჩანის ლაბორატორიაში შეპარულები, ჯადოსნურ ელექსირს ამზადებდნენ. მედეა იხსენებს, თუ როგორ ასწავლა ჩანიმ ელექსირის დამზადება.

**მედეა**

აი, ეს მცენარეები აიღო, მერე ეს ფხვნილი შეურია, ეს შავი სითხე დაასხა . . . უფსსს, ეს იყო ნეტავ? მერე რა, არაუშავს. ეს იყო, რა მოხდება.

**ანანო**

რომ შეგეშალოს?

**მედეა**

მერე რა, შეგვეშალოს. ხუნ ძის ხომ არ უნდა დავალევინოთ?

მედეა გველეშაპივით დაიღრიალებს.

**მედეა**

სხვა კი ვინ არის ამ ელექსირის . . . ნეტავ რა უნდა ვთქვა? ამ ელექსირის პატრონი?

ანანო მხრებს აიჩეჩს.

**მედეა**

სითხე წამოადუღა, ბევრი ურია, ხვლიკის რამდენიმე წვეთი ცრემლი დაამატა.

**ანანო**

კარგად გახსოვს?

**მედეა**

კიდევ დაიწყო, სწორედ ასე იყო.

გალიაში გამომწყვდეული ხვლიკი (ალექსანდრე) თავზე ხელს შემოიკრავს.

**მედეა**

რა იყო? არ არის ასე?

**ალექსანდრე**

მე ბოლო წვეთების ამბავი ვიცი.

**მედეა**

ხო და თუ ბოლო წვეთების ამბავი იცი, შენს ადგილას დაეტიე.

**ალექსანდრე**

სულ გაგეცლებით, თუ ზედმეტი ვარ.

ალექსანდრე გალიის კარებისაკენ ხტუნვით მიდის, კარებს გამოაღებს.

**მედეა**

სად მიდიხარ, ჯერ შენი საქმე არ მოგითავებია.

**ალექსანდრე**

რა ვიცი, შენს ადგილას დაეტიეო. ჩემი ადგილი კი მდინარის პირას არის.

**მედეა**

მორჩი რა ახლა ამ ზღაპრების მოყოლას.

ანანო გაოცებული უცქერის მედეასა და ხვლიკის ლაპარაკს.

**ანანო**

ეს . . . ეს რა? მოლაპარაკე ხვლიკი არის?

**მედეა**

ეს მარტო მოლაპარაკე კი არა, მოცეკვავეც არის. აბა ერთი გვაჩვენე.

ალექსანდრე სკამზე შებრუნდება, მათ ზურგს შეაქცევს.

**მედეა**

ხო, მიდი, ნუ გრცხვენია. შენ ხომ გიყვარს თავის გამოჩენა.

ალექსანდრე ალმაცერად გამოხედავს.

**ანანო**

მართლა იცი ცეკვა?

ანანო ხვლიკს მიუახლოვდება, თვალებში ჩახედავს.

**ანანო**

ეს თვალები ვიღაცას მაგონებს.

ხვლიკი თავს დაუქნევს, მართალი ხარო. მედეა ჯადოსნურ სითხეს აკეთებს.

**მედეა**

აბა, ერთი მოდი, მომეხმარე.

**მერვე ეპიზოდი. აიეტის სასახლე. დერეფანი.**

აიეტი, ჩანი და მეფის ვეზირები დიდი დერეფნით მიდიან რაინდთა საბრძოლო მოედნისაკენ.

**აიეტი**

ამ გოგოს ხასიათი გამაგიჟებს, მე. მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად არის საჭირო, სადღაც გაქრება.

**ჩანი**

ნუ ნერვიულობთ ჩემო ხელმწიფეო. ხომ იცით, მედეა აუცილებლად გამოჩნდება. ბოლო წუთში ყოველთვის აკეთებს რაც მას ევალება.

**აიეტი**

სწორედ მაგას ვნერვიულობ. ყოველთვის უკანასკნელ წამს რომ გამოჩნდება. ისე, რომ იცოდე, სულ შენი ბრალია ყველაფერი. ტყუილად ჩამოგიყვანე იმ სიშორიდან . . . მაინც სად მოგძებნეს.

ჩანს ეღიმება.

**ჩანი**

მე მოვძებნე ისინი.

**აიეტი**

ვიცი, ვიცი რომ შენ მოძებნე . . ამიტომაც დღესვე, შეჯიბრის მერე, თავებს დავაყრევინებ ყველა შენს ჩამომყვანს.

ჩანი ისევ გაღიმებული დაუკრავს თავს.

**აიეტი**

რა გაცინებს, არ გჯერა ხო, თავებს რომ დავაყრევინებ? მედეა მანახა ახლა და მერე გაჩვენებ დავაყრევინებ თუ არა.

**ჩანი**

ჩემი რა ბრალია ხელმწიფეო.

**აიეტი**

დაანებე თავი ამ ხელმწიფეო . . . ხელმწიფეოს ძახილს. ჯობია მედეა მოძებნე თუ სად დაიკარგა.

**მეცხრე ეპიზოდი. საბრძოლო მოედანი.**

საბრძოლო მოედანზე, მაყურებელი მთელი ქვეყნიერებიდან არის შეკრებილი. ისინი ჩამოსულ რაინდებს, ომახიანი ყიჟინით ამხნევებენ. მედეას გულის მოსაპოვებლად ჩამოსული რაინდები, სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნების ილეთებსა და ტექნიკას აჩვენებენ. ოთხი რაინდი არის ჩამოსული. ესპანეთიდან იდალგო, იაპონიიდან სამურაი, აფრიკიდან აბორიგენი და რუსეთიდან ბაგატირი. შეჯიბრის წამყვანი, რაინდებს მაყურებელს წარუდგენს.

**წამყვანი**

შესანიშნავი რაინდი, იდალგო ესპანეთიდან. დიეგო ხუან კარლოსი, დიდი ტორიადორი და ხარების რისხვა ა ა ა, მას პირველ ტურში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს. დიეგო ხუანმა თუ გაიმარჯვა . . . თუ გაიმარჯვა, მაშინ ო, ჰო . . ჰო. მივესალმოთ დიეგო ხუან კარლოსსსსსს!!!!!

მაყურებელი ხმამაღალ ყიჟინას დასცემს. დიეგო ხუან კარლოსი წელში გაზნექილი, ტორიადორის ნაბიჟებით გაივლის, წითელ ლაბადას მხრებიდან მოიხსნის და მარჯვედ აფრიალებს. მერე ესპანური ცეკვის ილეთებსაც კი გააკეთებს.

წამყვანი მეფის ლოჟისკენ იცქირება, იქ ჯერ არავინ მოსულა. მან იცის, რომ აიეტი ახლა ნამდვილად მედეას დაეძებს და ამიტომ იგვიანებს. ეს ყოველთვის ასე ხდება. წამყვანი ცდილობს დრო გაწელოს და მაყურებელს სიტყვებითა და ქმედებებით უფრო აღაგზნებს.

**წამყვანი**

მივესალმოთ ჩვენს იაპონელ სამურაის, ოკირა ხასამუტასსს.

ოკირა ხასამუტა “იას” ძახილით გაიქცევა. ჰაერში რამდენიმე სალტოს გააკეთებს და მიწაზე ხმალამოღებული დაეშვება. ოკირას ათამდე სუმოისტი ჩამოჰყვა, რომლებიც მოედანზე იაპონურ ცეკვა-მოძრაობასა და სიმღერას ასრულებენ.

**წამყვანი**

ოკირა ხა-სა-მუ-ტაااااااااა!!! აღმოსავლეთის ბაჯაღლო, მანათობელი ვარსკვლავი. მას ორმოცდაათი ბრძოლა აქვს ჩატარებული

პატარძალთა ხელის მოსაპოვებლად და ორმოცდაათივე გამარჯვებით დასრულდა. ოკირა ხა-სა-მუ-ტაااااااااااა!!!

მაყურებელი გრგვინავს.

**მეათე ეპიზოდი. ჩანის ლაბორატორია**

ისმის აფრიკელი აბორიგენის სიმღერა, ის რეპს მღერის. სიმღერის მელოდიაზე, ალექსანდრე ცეკვავს და მღერის კიდეც. მედეა და ანანო ალექსანდრეს ამხნევებენ. ანანო ალექსანდრესთან ერთად ცეკვავს. დერეფანში აიეტის გაბრაზებული ხმა ისმის.

**აიეტი**

მედეა, მედეა!

მოცეკვავეები ჩერდებიან. ოთახის კარები იღება და აიეტი გამოჩნდება. მედეა, ანანო და ალექსანდრე მაგიდის ქვეშ იმალებიან. აიეტი კარს ღიად ტოვებს და მიდის. მედეა და ანანო თავისუფლად ამოისუნთქავენ. უეცრად ალექსანდრეს თვალები უფართოვდება და მედეას რაღაცას ანიშნებს. ალექსანდრე ხმას არ იღებს, ცდილობს ხმაური არ გამოიწვიოს.

**მედეა** (ჩუმად)

რა ხდება? რა იყო?

ალექსანდრე ისევ რაღაცას ანიშნებს მედეას. მედეა ჯადოსნური სითხით სავსე ჭურჭელს გახედავს. ჭურჭელი წაქცეულია, სითხე იღვრება და ანანოს ფეხზე ეწვეთება. ანანო თანდათანობით ახალგაზრდა, მდედრ ხვლიკად იქცევა. კარებში ჩანი იხედება. ის ყველაფერს ხედავს. გაღიმებული ჩანი, კარს ჩუმად დახურავს. ალექსანდრე ახლა ხვდება თუ რა მოხდა და გახარებული ყიჟინით ანანოს ეარშიყება. ხვლიკად ქცეული ანანო ერთს შეჰკივლებს და მიმოფანტულ საგნებში დაიმალება. შორიდან შეკრებილი ხალხის ხმამაღალი ყიჟინა გაისმება. ეტყობა აიეტი ხალხში გავიდა. მედეა თავში ხელს შემოირტყამს.

**მედეა**

ოხ, ჯანდაბა. შეჯიბრი იწყება. მე იქ აუცილებლად უნდა ვიყო . . . . . .მერე ანანო?

მედეა მიმოფანტულ ნივთებში ანანოს ეძებს. მას ალექსანდრეც ეხმარება. შეშინებულ ანანოს დიდი თიხის ჭურჭლის უკან, მიყუჟულს ნახავენ.

**მედეა**

ეს რა დაგემართა შე საცოდავო, ხომ გითხარი სითხეს არ გაეკაროთქო.

დაბნეულ და გაოგნებულ ანანოს, უნდა მედეას რაღაც უთხრას, მაგრამ არაფერი გამოსდის, ის ხმას ვერ იღებს. შეშინებული თვალებით მედეას მიშტერებია. ალექსანდრეს დაუოკებელ მოძრაობასაც ამჩნევს. მედეა ალექსანდრეს გახედავს.

**მედეა**

ალექსანდრე არ გრცხვენია, ასე უნდა შეაშინო საცოდავი ქალი?

ალექსანდრე ახითხითდება.

**მედეა**

რა გაცინებს ალექსანდრე?

**ალექსანდრე**

კი არ ვიცინი, სიხარულისაგან გიჟს ვგავარ.

მედეა ანანოს ხელში აიყვანს.

**მედეა**

ნუ გეშინია, ჩემო პატარავ. არ მიგატოვებ ამ გიჟთან ერთად. შეჯიბრების მერე ყველაფერს გამოვასწორებ. მე თუ არა, ჩანი ნამდვილად გაქცევს ადამიანად.

მედეა ანანაოს კაბის ჯიბეში ჩაისვამს და ოთახიდან გარბის. ალექსანდრე ხტუნვა-ხტუნვით მიყვება.

**მეთერთმეტე ეპიზოდი. საბრძოლო მოედანი.**

აიეტი, ჩანი და სასახლის დიდებულები თავ-თავიანთ ადგილებზე სხდებიან. აღგზნებული ხალხის მასა, მედეას მოითხოვს.

**მაყურებელი**

მე-დე-ა! მე-დე-ა! მე-დე-ა!

იაპონელი გულშემატკივრებიც ერთმანეთს გადახედავენ და ისინიც დაიწყებენ ხმამაღალ ძახილის.

**სუმოისტები**

მე-დე-ა! მე-დე-ა!

**აფრიკელი აბორიგენები**

მე-დე-ა! მე-დე-ა!

წამყვანი ცდილობს, დრო როგორმე გაწელოს.

**წამყვანი**

აი, სამი შესანიშნავი რაინდი. სამწუხაროდ, ბოლო წამს, მეოთხე რაინდმა უარი თქვა ბრძოლაზე. მივესალმოთ მათ! დონ ხუან კარლოსი ესპანეთიდანننننნ, ოკირა ხასამუტااااა იაპონიიდან და ოზან ალი მალი მუნდა რუნდა მონდო სუნა მუნი (ცოტას ამოისუნთქავს) ბურიიდან.

თითოეული რაინდის გამოძახებაზე, მათი გულშემატკივრები ერთ ალიაქოთს ტეხდნენ. წამყვანი თვალს მოკრავს, რომ მედეა, საბრძოლო მოედნის შესასვლელთან გამოჩნდა და ხმამაღლა შესძახებს.

**წამყვანი**

აბა, კიდევ ერთხელ ყველამ ერთად დავუძახოთ ჩვენს მზეთუნახავ პრინცესას. მე-დე-ა? მე-დე-ა? მე-დე-ა!

ხალხი წამყვანს აყვება

**ხალხი**

მე-დე-ა, მე-დე-ა

წელში გამართული და ამაყი მედეა თავის ადგილზე მიდის. ის მამამისს გადახედავს. აიეტი გახარებულია და თავის დაქნევით რაღაცის უფლებას დართავს. მედეა წითელ ლენტს გადაჭრის. გალიიდან უშველებელი, ცეცხლის მფრქვეველი ხარი გამოვა. ხარი მებრძოლებს შეათვალიერებს და პირველი დარტყმით, ესპანელ რაინდს შორს მოისვრის. ახლა იაპონელს და მერე აფრიკელს. ხალხი აღგზნებულია. აიეტი და დიდგვაროვნები ბრძოლის ველს ტოვებენ.

**მეთორმეტე ეპიზოდი. ღმერთი აპოლონის საყდარი. პელეა პითიასთან საუბრობს.**

პელეა აპოლონის საყდარში ორაკულთან არის მისული. პითია, შავკანიანი ორაკული ქალი, პელეას უწინასწარმეტყველებს და რასაც ეუბნება, ყველაფერი პელეას თვალწინ ხდება. ამ ზმანებების ხილვისას, პელეა ძლიერ შეშინებულია. ყოველი ზმანების გამოჩენისას ის ორაკულის საყდრიდან გაქცევას ლამობს, მაგრამ პითიას დამხმარე სულები, პელეას აკავებენ და ზმანებაზე ძალით აყურებინებენ. პითია სიმღერით ეუბნება პელეას მის მომავალ ბედს.

**პითია**

შენ, პელეამ, უკანონოდ
მეფის ტახტი ჩაიგდე.
ბიძაშვილს რომ უღალატე
ამით გული გაიპე.

შენ არავინ არ დაინდე,
ხალხს აბუჩად იგდებდი.
ყველა ერთად ამოწყვიტე
დიდგვაროვანთ შვილები.

აგერ ბავშვი მოლუღლუღებს,
დედის კალთას ეკვრება.
შენ პელეას მისი სახე
არც კი გემახსოვრება.

**პელეა**

ვაი, რა ვქნა, უი, რა ვქნა,
თავი როგორ ვიმართლო?
იქნებ სადმე გზას გავუდგე,
ბედი გამოვიცვალო.

**პითია**

ბედის შეცვლა მოკვდავებო
ეს ადვილი გგონიათ?
გუშინდელი სურვილებთან
დღეს კავშირი გქონიათ.
კენტავრს ბავშვი სადღაც ჰყავდა,
დამალულად აღზრდილი,
მას დაარქვა იაზონი
და გამოწრთო რაინდი.
ოქროს თმიან ჭაბუკ ვაჟკაცს,
შენთან მოსვლა სწყურია,
მდინარეში სანდალს კარგავს
ხმალი აღმართულია.

**პელეა**

ვაი რა ვქნა, უი რა ვქნა,
თავი როგორ ვიმართლო?
იქნებ სადმე გზას გავუყვე
ბედი გამოვიცვალო?

**პითია**

შენ, პელეა, უსინდისოდ,
ბევრ კაცს ცრემლი ადინე.
სისხლ გასვრილი მაგ ხელებით
ზევსი გამინაწყენე.

**პელეა**

ვაი, რა ვქნა, უი, რა ვქნა,
თავი როგორ ვიმართლო?
იქნებ, სადმე გზას გავუყვე,
ბედი გამოვიცვალო.

უეცრად პითია სიმღერის გარეშე იტყვის.

**პითია**

იაზონი კოლხეთში გაუშვი, ოქროს საწმისის ჩამოსატანად.

პელეამ კარგად ვერ გაიგო პითიას სიტყვები.

**პელეა**

რა მითხარი, რა?

პითიას თავისივე სიტყვები გაუკვირდება. ის პირზე ხელს აიფარებს. პითიას წინ ქალღმერთი ჰერა დგას. პელეა ჰერას ვერ ამჩნევს, მხოლოდ პითიას ხედავს.

**პითია**

რატომ მათქმევინე მაღალო ღმერთო, ეს სიტყვები?

პელეა გაოცებული მისჩერებია, ხედავს რომ პითია თავის თავს ელაპარაკება.

**ჰერა**

ოლიმპოზე, ღმერთებმა ასე ინებეს.

**პითია**

ჰოო? მერე თქვენ თვითონ გეთქვათ ყველაფერი!

**ჰერა**

მაშინ შენ რისთვის გვჭირდები?

**პითია**

მაღალმა ზევსმა მითხრა, მჭირდებიო.

**ჰერა**

მე სწორედ რომ ზევსმა გამომგზავნა.

**პითია**

მართლა?

**ჰერა** H

ჰერა განრისხდება.

შენ რა, ჩემი არ გჯერა?

პითია მიწაზე დაემხობა. პელეა კიდევ ვერ მოსულა აზრზე თუ რა ხდება.

**პითია**

მჯერა, როგორ არ მჯერა, მაგრამ ზევსი ჩემთან ხომ ყოველთვის ჰერმესს აგზავნიდა.

**ჰერა**

ეს განსაკუთრებული დავალებაა.

**პითია**

ააა, გასაგებია. საიდუმლო დავალება არა?

**ჰერა**

თუ გინდა, ასე ჩათვალე.

**პელეა**

ვის ელაპარაკები მანდ, ქალო?

**პითია**

მაცალე რა ერთი, ღმერთებთან მაქვს კავშირი.

**პელეა**

ამდენ ხანს აბა რას აკეთებდი? არ გქონდა კავშირი? ვიღაც გაიზარდაო, ცალი სანდლით მოდისო, პასუხი უნდა მოგთხოვოსო. მარტო შენით ბრუტუნობდი?

პითია ჰერას გახედავს. Hჰერა თავს დაუქნევს.

**პითია**

რა მითხრეს და ის შენი ნათესავი კოლხეთში გაუშვიო, ოქროს საწმისის ჩა-მო-სა-ტა-ნა-დო.

პელეა მიხვდება, რომ გამოსავალი მოინახა და სიხარულისაგან შეჰყვირებს.

**პელეა**

ოო, იესსსსსსსსსსს

**მეცამეტე ეპიზოდი. პელეას სასახლე.**

პელეა იაზონს გულში ჩაკვრია და ქვითინებს.

**პელეა**

ჩემი ბიძაშვილის შვილი?! ნუთუ შენ მართლა ცოცხალი ხარ? მე კი მითხრეს, მკვდარი დაიბადაო. რომ იცოდე, რამდენი ვიტირე იმ დღეს, ეს ამბავი რომ გავიგე.

იაზონს გაეცინება.

**პელეა**

რა იყო, არ გჯერა? თუ არ გჯერა, აგერ ბიცოლაშენს კითხე.

**ბიცოლა**

ოო, იმდენი იტირა შენი სიკვდილის . . . . . .სიკვდილის კი არა, ტყუილი სიკვდილის ამბავი რომ გაიგო . . ძლივს ვამშვიდებდი . . ვეუბნებოდი რა გატირებსთქო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა არისთქო. დედაშენზე ვამბობდი, კიდევ ეყოლება შვილითქო. არაო, არაო მე საცოდავი მეფე, ამას რას მოვესწარიო. ეს როგორ მოხდაო, ნუთუ ღმერთებმა ასე დამსაჯესო . . .

პელეას ცოლი სიტყვის დამთავრებას აღარ აპირებს. პელეა ჯერ კმაყოფილი უყურებდა, მერე გაოცებული და რომ მიხვდა, სიტყვის დამთავრებას აღარ აპირებს, ცოლს შეაწყვეტინებს.

**პელეა**

აი, ხომ ხედავ რა დღეში ვიყავი. თავის მოკვლასაც კი ვაპირებდი, მაგრამ დიდმა ზევსმა გამაჩერა. ასე ჩამძახა: "მოვა დრო და შენი სიცოცხლე საჭირო იქნებაო".

**იაზონი**

ბიძაჩემო . . .

პელეამ იაზონს სიტყვა შეაწყვეტინა

**პელეა**

ერთი ეს მითხარი , საბერძნეთის გმირები რატომ შეკრიფე, ერთად? რატომ მოსულხარ მათთან ერთად? რამე ცუდი განზრახვა ხომ არ გიდევს მაგ გულში?

იაზონთან ერთად პელეას სასახლეში ჰერაკლე, ნესტორი, ორფეოსი, პალემონი, ოედიპუსი და სხვა გმირები არიან მოსულები.

**იაზონი**

ბიძაჩემო, ერთ რამე მინდა გთხოვო. კი არ გთხოვო, დამითმო მინდა . .

პელეა დაიძაბება.

**პელეა**

თუ არა, ძალით გინდა წამართვა ხო?

**იაზონი**

ძალით არასოდეს. ის რაც მე მინდა, მხოლოდ ნებით უნდა მომცე.

**პელეა**

მერე რად გინდოდა ეს ბიჭები რომ შეყარე, მათი დახმარების იმედი გაქვს?

**იაზონი**

ისინი ჩემი მეგობრები არიან და ჩემთან ერთად სიკვდილამდე იბრძოლებენ.

**პელეა**

ასეც ვიცოდი, ასეც ვიცოდი.

პელეა ცოლს მიმართავს.

**პელეა**

ხომ გითხარი, რომ მოვა, საბერძნეთის დაუმარცხებელ გმირებთან ერთად მოვათქო. შენ კიდევ არ მიჯერებდი . .

**პელეას ცოლი**

მე კი დაგიჯერე, მაგრამ შენ არ გინდოდა ჩემთვის ყური დაგეგდო. ის, ვინც ცოლის სიტყვებს ყურს არ უგდებს, შორს ვერ მიდის. შორს თუ ვერ წახვედი, დიდ საქმეს ვერ გააკეთებ. ღმერთები არ იქნებიან შენს გვერდით, თუ ღმერთები არ იქნებიან . . .

**პელეა**

დაატორმუზე რა ქალო, ახლა მაგის დრო არის? ვერ ხედავ ბედისწერა მოგვდგომია კარს.

**პელეას ცოლი**

კარები იმიტომ არის, რომ შიგნით და გარეთ დადიოდეს ხალხი. ღმერთებმა ინებეს . .

**პელეა**

მე უკეთესად ვიცი თუ რა ინებეს ღმერთებმა.

**იაზონი**

ბიძაჩემო, კოლხეთში ვაპირებთ წასვლას მე და ჩემი მეგობრები. ოქროს საწმისის ძლიერება უნდა დავუბრუნოთ იოლკას.

**პელეა.**

კოლხეთში?!

**იაზონი**

ხო, კოლხეთში.

**პელეა**

ოქროს საწმისისათვის?

**იაზონი**

ხო, ოქროს საწმისისათვის.

**პელეა**

აბა, მე რა უნდა მეთქვა?

**იაზონი**

არ ვიცი, მაგრამ შენგან დახმარება მჭირდება.

პელეა თითქოს ანერვიულდება, თავზე ხელს შემოირტყამს.

**პელეა**

ვერა, ვერ გაგიშვებ ძლივს ნაპოვნ, საყვარელ ძმისშვილს დასაღუპად.

**იაზონი**

ჩვენ დასაღუპად არ მივდივართ, ჩვენ ხომ Gგმირები ვართ.

საბერძნეთის გმირები ერთად ამღერდებიან.

**გმირები**

უცხო კოლხეთში მგზავრობა,
სხვისთვის იქნებ საშიშია.
ჩვენისთანა ბიჭებისთვის,
გასართობი თამაშია.

ავაშენებთ მალე ხომალდს,
მას "არგოსაც" დავარქმევთ.
გავუყვებით კოლხეთის გზას

ამას ვერ შეაჩერებ.

უცხო კოლხეთს გავეშუროთ,
სხვისთვის იქნებ საშიშია.
ჩვენისთანა ბიჭებისთვის
გმირობა და თამაშია.

არგონავტები სიმღერისას ცეკვავენ.

**პელეა**

ოპ, ოპ, თქვენ ყველანი ახალგაზრდები ხართ და ჭკუა არცერთს არ მოგეკითხებათ. როგორ ფიქრობთ, ჩემს საყვარელ ძმისშვილს მე ახლა დასაღუპად გავუშვებ?

არგონავტები სიმღერისა და ცეკვის გამეორებას აპირებდნენ.

**პელეა**

გაჩერდით, არ გინდათ, უკვე ვნახე . . კოლხეთში გველეშაპია, გზაში ათასი ხიფათია.

**იაზონი**

ბიძაჩემო, აბა სახლში ხომ არ დავრჩები, შენს კალთას ამოფარებული? ჯერ ახალგაზრდა ვარ და ბევრი საგმირო საქმეები უნდა გავაკეთო.

**პელეა**

მერე, ჩვენ რა გვეშველება? მე და საცოდავ ბიცოლაშენს?

პელეა ცოლს გახედავს, რომელსაც ეტყობა რომ სულ სხვა რამეზე ფიქრობს და გონებაგაფანტული სახით იყურება. გაღიმებული პელეას ხელს დაუქნევს. პელეა ამოიოხრებს.

**იაზონი**

ოქროს საწმისს ჩამოგიტანთ კოლხეთიდან, ოღონდ . . .

**პელეა**

რად გვინდა ოქროს საწმისი ამ სიბერეში, მაგრამ მაინც რა ოღონდ?

**იაზონი**

ეს ცხვრის თავი უნდა მომცე.

კედელზე დაკიდებულ ცხვრის თავზე მიუთითებს იაზონი.

**პელეა**

მარტო ეს თავი? ეს რად გინდა?

პელეას სიხარულისგან სახე გაებადრება.

**იაზონი**

მაღალმა ღმერთმა, ჰერამ მითხრა, რომ ბიძაშენს კედელზე დაკიდებული ცხვრის თავი გამოართვი და კოლხეთს წადი, ოქროს საწმისის ჩამოსატანადო.

**მეთოთხმეტე ეპიზოდი. გველეშაპის ზურგზე**

**გველეშაპი**

რა კარგია მეგობრებთან
ერთად ცაში ფრენა.

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა.**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

**გველეშაპი**

ეს რა საოცრებად შემქმნა
ჩანმა, ჩემმა ბატონმა.

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა.**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

**გველეშაპი**

გველეშაპს რომ მეძახიან
განა მართლა ბოროტი ვარ?

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა.**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

**გველეშაპი**

ერთი თბილი კაცის გული
ამ მკერდში ძგერს ძალიან.

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

**გველეშაპი**

მთის მწვერვალსაც გადავიფრენთ
პირქვე ამოვბრუნდები.

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა.**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

**გველეშაპი**

მერე დაბლა დავეშვები
სული შემეგუბება.

**გველეშაპი, ანანო, ალესანდრე, მედეა.**

ყველგან ერთად ფრიალი,
გრიალი და ფრენა.

მედეა, ანანო და ალექსანდრე გველეშაპის ზურგზე იყვნენ მოკალათებულები და მაღლა, ცაში დაფრინავდნენ. გველეშაპი საოცარ ტრიუკებს აკეთებს. მაღლა, მაღლა აფრინდება და უეცრად გადმობრუნდება. მის ზურგზე მსხდომი, სამივენი გადმოვარდებიან და სწრაფად დედამიწისაკენ ეშვებიან. გველეშაპი მათ წრეს შემოუვლის და ქვემოდან დახვდება. ის ჰაერში არის გაჩერებული და ზემოთ იყურება, რომ დაბლა მფრინავი მედეა, ანანო და ალექსანდრე დაინახოს. მედეა, ანანო და ალექსანდრე ხმამაღალი ყვირილით დაბლა ეშვებიან. ალექსანდრე ცდილობს ანანოს დაეწიოს, გველეშაპი მაღლა სულის შებერვას იწყებს. ჰაერის ნაკადი დაბლა მფრინავებს შეაჩერებს. ისინი თითქმის ცაში დადიან და მხიარულად დახტიან. გველეშაპს უეცრად პირიდან ცეცხლის ნაკადი ამოვარდება. მხიარულად მოხტუნავენი საოცარ ზუზუნს გაიგონებენ. დაბლიდან, ცეცხლის დიდი ბურთი მათკენ მოემართება. სამივენი გვერდზე გადგებიან. ცეცხლის ნაკადი მათ ჩაუვლის, მაგრამ ისევ დაბლა ვარდებიან. გველეშაპს ჩაუქროლებენ. მედეა მოასწრებს და გველეშაპის კუდს ხელს ჩაავლებს. ალექსანდრე და ანანო კი ისევ ქვევით ვარდებიან. გველეშაპი კუდს მოიქნევს და მედეას ზურგზე შეისვამს, მერე სწრაფად დაბლა დაეშვება, ანანოს და

ალექსანდრეს გაუტოლდება. ალექსანდრეს სწრაფი დაშვებიდან ხვლიკის ყბები კიდევ უფრო გაბერილია, ის გველეშაპს რაღაცას ეუბნება, მაგრამ მისი ხმა არ ისმის. გველეშაპი ოდნავ შეჩერდება და ალექსანდრე კივილით ჩაუქროლებს მას. გველეშაპი ისევ სწრაფად დაეშვება და თითქმის მიწასთან მიახლოვებულებს, ერთმანეთს ჩაკრულ ანანოსა და ალექსანდრეს კვლავ ზერგზე შეისვამს. მერე ისევ მაღლა აიჭრება, მთებს და მდინარეებს გადაუფრენს, გამოჩნდება ზღვა და სანაპიროს მომდგარი არგონავტების გემი. გემიდან ბერძენი გმირები გადმოდიან.

**მეთხუთმეტე ეპიზოდი. კოლხეთის სანაპირო.**

არგონავტების თავზე Gგველეშაპის უშველებელი ჩრდილი გადაიფრენს.

**იაზონი**

შეხედეთ, შეხედეთ რამოდენა ურჩხული არის.

**ჰერაკლე**

ჩვენ მაინც ვერ შეგვაშინებს. Kკოლხეთში ჩამოსვლამდე, რამდენ ურჩხულს მოვუგრიხეთ კისერი. ა, ჩემო იაზონ

Hჰერაკლე, იაზონს, ურჩხულის ბრჭყალებს აჩვენებს, კისერზე რომ აქვს ჩამოკიდებული.

**იაზონი**

ბევრს, ჩემო მეგობარო. ამ საცოდავის დღეებიც დათვლილია.

ჰერაკლე "არგოს" ერთ ღუზას მოსწყვეტს, დაატრიალებს და გველეშაპს ესვრის. გველეშაპი ადგილზე არის გაჩერებული, ყველანი ქვემოთ იყურებიან. მოჩანს თუ როგორ უახლოვდება მათ ჰერაკლეს ნასროლი ღუზა. გველეშაპი ჩაიწევს და ღუზა გვერდით ჩაუქროლებთ. გველეშაპი დაბლა ინტერესით დაეშვება. არგონავტებს სწრაფად უახლოვდება უზარმაზარი მფრინავი გველეშაპი. არგონავტები სანაპიროზე გაიშლებიან, ფარებს აიფარებენ და საბრძოლო მდგომარეობას მიიღებენ. გველეშაპი არგონავტებს გარშემო შემოუფრენს და ჰაერში დაეკიდება, მედეას გახედავს და თვალს ჩაუკრავს. მერე მცირე ცეცლის ნაკადს გაუშვებს არგონავტების მიმართულებით. არგონავტების გარშემო ცეცხლის ალი ავარდება. მედეა, გველეშაპი, ანანო და ალექსანდრე უყურებენ თუ როგორ გარბიან არგონავტები. გველეშაპი ზემოდან ნელა დაფარფატებს და პატარ-პატარა ცეცხლის ბოლქვებს აფრქვევს.

ისმის ჩანის ხმამამღალი ძახილი.

**ჩანი**

ხუნ ძი!!!!!

ასე ქვია გოლიათს, რომელიც ახლა გველეშაპად არის ქცეული.

**ჩანი**

ხუნ ძიიი!!!!

გველეშაპი ჩანის დაძახებაზე გაირინდება.

**ხუნ ძი**

უპს!

გველეშაპი ჰაერში ერთ წრეს დაარტყამს და გამოქვაბულისაკენ გაფრინდება

**მეთექვსმეტე ეპიზოდი. ჩანი გველეშაპს ეჩხუბება.**

ჩანი ძალიან გაბრაზებულია. გამოქვაბულის შესასვლელთან აქეთ-იქეთ დადის. გამოქვაბულის წინ გველეშაპი დაეშვება. მისი ზურგიდან მედეა, ანანო და ალექსანდრე ჩამოხტებიან.

**ჩანი**

რამ გამოგაშტერა ამხელა კაცი, რა საქმე გაქვს ჩაბარებული და ვის ჭკუაზე დაფრინავ აქეთ-იქეთ.

**ხუნ ძი**

რა იყო, ერთი წუთით არ შეიძლება დასვენება? მეც ხომ მინდა რომ ცოტა გავერთო?

**ჩანი**

გაგართობ მე შენ კარგად.

**ხუნ ძი**

კარგი რა, ნუ მემუქრები. ისიც მეყოფა, ასე რომ ვარ და ამდენს ვითმენ.

**ჩანი**

ითმენ თუ არა, შენც მხოლოდ ჩემ გამო ითმენ.

მედეას ვერ გაურკვევია თუ რაზე ჩხუბობენ ჩანი და ხუნ ძი. ცდილობს საუბარში ჩაერთოს.

**მედეა**

ხუნ ძის ბრალი არაფერი არ არის. ვთხოვეთ, რომ ცოტა ჩვენთან ერთად ეთამაშა.

**ჩანი**

ჩვენ ვინ? ეს ორი გაბერილი ხვლიკია, ჩვენ?

**ალექსანდრე**

პატივი ეცი ცხოველთა უფლებას და გაბერილებს ნუ გვიწოდებ. ჩვენც ისეთივე გონება და გრძნობები გაგვაჩნია, როგორც თქვენ უდიდებულესობას.

ალექსანდრე სიტყვა "უდიდებულესობას" ხასგასმით ცინიკურად ამბობს.

**ალექსანდრე**

დღეს მე ვარ ხვლიკი, ხვალ რა იცი შენ ვინ იქნები?

**ჩანი**

გამიხდა ახლა ესეც რა, ინკარნაციის მსხვერპლი.

**მედეა**

კარგით რა, გაჩერდით ყველა. რატომ ჩხუბობთ. სანაპიროზე ახალი სასიძოები ჩამოვიდნენ, იქნებ ცოტა კიდევ გავერთოთ.

ჩანი გაღიზიანებულია.

**ჩანი**

მამაშენს და შენ ამ სასიძოების მეტი არაფერი გაინტერესებთ.

**მედეა**

რა უნდა მაინტერესებდეს მეტი? დღეს შენ რაღაც ხასიათზე ვერ ხარ.

**ჩანი**

აბა, როგორ ვიქნები ხასიათზე თქვენი გადამკიდე. მამაშენი მიბარებს, მედეა მონახე სასწრაფოდ, საბერძნეთიდან გმირები ჩამოვიდნენო . . . აქეთ

გამოვრბივარ, მეგონა აქ იქნებოდი . . . . ეს ბედოვლათიც არ დამხვდა.

**მედეა**

კარგი რა ცოტა გავერთეთ, რა მოხდა ასეთი?

**ჩანი**

რა მოხდა და ნომერი პირველი სადარაჯო ადგილი დატოვა.

**ხუნ ძი**

პირველად ხომ არ დამიტოვებია? მოხდა მერე რამე? წაიღო ეს უპატრონო ცხვრის ტყავი ვინმემ?

**ჩანი**

პატრონი შენ ხარ. შედი ახლავე გამოქვაბულში და იქედან ფეხი არ გამოადგა. სანამ საჭირო არ იქნები.

გველეშაპი ბრაზისაგან გაიბერება, გაიბერება, უშველებელი გახდება.

**ჩანი**

ასე, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

გველეშაპად ქცეული ხუნ ძი ფრთებს ჩამოყრის, თავს ჩაქინდრავს და გამოქვაბულში შედის. ჩანის თვალს რომ მიეფარება, უკან გამოიხედავს იქ უკვე არავინ ჩანს. თეძოებს აქეთ-იქეთ მიმოიქნევს, მერე ენას გადმოაგდებს და გაღიზიანებული სახით დაიძახებს

**გველეშაპი**

ბრრრრრ!!!!

**მეჩვიდმეტე ეპიზოდი. არგონავტების დატყვევება.**

არგონავტები ხშირი ბარდებით დაფარულ ტყეში მიდიან. წინ იაზონი, მერე ჰერაკლე, ორფეოსი, ნესტორი და ასე ათამდე ბერძენი გმირი ჩუმად მიაბიჯებს. არგონავტები მთის ბექობზე გადიან.

**იაზონი**

აი, იქეთ გაფრინდა. გამოქვაბულში ცხოვრობს ალბათ.

ორფეოსი

ღამეს ხომ არ დაველოდოთ და მერე მივვარდეთ?

ჰერაკლე

ჩვენისთანა გმირები ღამის იმედზე უნდა ვიყოთ? რამდენ გველეშაპს დავაძვრეთ კბილები, არც ერთ ღამეს არ დავლოდებივართ. მივუვარდებით და ბასტა გველეშაპი.

ორფეოსი

ასეთი უზარმაზარი არც ერთი არ იყო.

იაზონი

მით უფრო საინტერესოა. ნამდვილად ის გველეშაპი იქნება, ვინც ოქროს საწმისს დარაჯობს.

ნესტორი

მაშინ ორნი იქნებიან.

ჰერაკლე

ვითომ რატომ? შიშმა ხომ არ გაამრავლა ჩემო ნესტორე, აა?

ნესტორი

ეჰ. Hჰერაკლე, ჰერაკლე, ძალა კი მოგცა მამაშენმა, მაგრამ ჭკუა კი აი ამდენი.

ნესტორი ჰერაკლეს ორი თითით სულ მცირე სივრცის ნაწილს აჩვენებს. ჰერაკლე გადაიხარხარებს.

იაზონი

ჩუმად, არ გაიგონონ. ნესტორი მართალია, ორი იქნება. აბა, ის რომ დაფრინავდა აქეთ-იქეთ, მაშინ ხომ ვინმეს უნდა ედარაჯა ოქროს საწმისისათვის?

ჰერაკლე

მართალი კი ხარ, თუ გინდ ხუთნი იყვნენ, მაგრამ იქნებ საერთოდ არ არის იმ გამოქვაბულში ოქროს საწმისი.

არგონავტები გველეშაპის გამოქვაბულს მიუახლოვდებიან. მათ უკნიდან, ჩუმად, აიეტის მებრძოლთა დიდი რაზმი მოჰყვება. არგონავტები გამოქვაბულში შედიან, ისინი გაკვირვებულნი არიან გამოქვაბულის სიმაღლით.

**იაზონი**

ჰერაკლე, ძმაო, შეხედე როგორი მაღალი გამოქვაბულია. ეტყობა ძალიან დიდები კი არიან ეს გველის ნაშიერები. შენი იმედი მაქვს, არცერთ ბრძოლაში არ დამარცხებულხარ. არა, ჩვენც კი ვიბრძოლებთ, მაგრამ შენ უნდა აიღო ძირითადი დარტყმა. ჩვენ უკნიდან მოვუვლით, ნესტორი და ბიჭები აქეთ-იქეთ გაიშლებიან, ყურადღება რომ გავუფანტოთ. ამასობაში მე ზურგზე შევახტები და მახვილს ჩავცემ გულში.

**ორფეოსი**

სულ ასე აკეთებ ჩემო იაზონ, მახვილს ყოველთვის შენ არჭობ და გველეშაპების დამმარცხებელიც შენ გამოდიხარ. სიმღერებსაც შენზე წერენ, თითქოს მარტო შენ იყო გმირი.

**ჰერაკლე**

გამაგიჟებს ეს კაცი, სიმღერებს შენ წერ საერთოდ და რამდენიც გინდა იმდენი უმღერე საკუთარ თავს.

ორფეოსი ჩაფიქრდება, მერე ყურს მოიფხანს, გაიცინებს და ხმამარლა იტყვის

**ორფეოსი**

მართალია, ეს ოხერი ჰერაკლე.

იაზონი ტუჩზე ხელს მიიდებს.

**იაზონი**

სუუ.

არგონავტები გამოქვაბულში შედიან.

აიეტის მებრძოლები გამოქვაბულის შესასვლელთან გაჩერდებიან და დიდი ბადეების გაშლას იწყებენ. რამდენიმე წამში, საშინელი კივილი და ზუზუნი გაისმება. არგონავტები ერთმანეთის მიყოლებით მოფრინავენ გამოქვაბულის გასასვლელისაკენ. გასასვლელთან აიეტიის მებრძოლები, არგონავტებს ბადით იჭერენ.

გველეშაპი გაკვირვებული უყურებს მარტოდ დარჩენილ იაზონს, რომელიც აქეთ –იქეთ დარბის და ცდილობს, როგორმე მას ზურგზე შეახტეს. გველეშაპი, ხუნ ძი კუდს გაკრავს იაზონს და ისიც ჰაერში წუილით გაფრინდება გამოქვაბულის გასასვლელისაკენ.

**მეთვრამეტე ეპიზოდი. აიეტის სასახლე.**

გაკოჭილ არგონავტებს აიეტთან შეიყვანენ. დარბაზში ჩანი და კიდევ რამდენიმე პერსონა არის. აიეტი განრისხებულია.

**აიეტი**

ვინ არის თქვენ შორის უფროსი?

**იაზონი**

მე ვარ ის კაცი.

აიეტი თავის ქვეშევრდომებს ანიშნებს, რომ იაზონი ბადიდან გაათავისუფლონ. იაზონი გათავისუფლებისას წინააღმდეგობას უწევს, სხვა არგონავტებიც ამოძრავდებიან. აიეტის მცველები მათ მათრახებით დაუწყებენ ცემას. ბადიდან გათავისუფლებული იაზონი, ცხვრის თავის ქუდს მოიხდის და ოქროსფერი კულულები მხრებზე ჩამოეყრება.

**აიეტი**

ქურდებივით რატომ იქცევით? გეტყობათ, კეთილშობილი გმირები ხართ.

**იაზონი**

ჩვენ არც გვიფიქრია რომ რაიმე მოგვეპარა. მხოლოდ გველეშაპის მიკვლა გვინდოდა.

**აიეტი**

გველეშაპი?!

აიეტი გაიკვირვებს, ჩანს გახედავს.

ალექსანდრე და ანანო დიდი დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, მაღლა, ლოჟაში არიან მოკალათებულები. ადევნებენ თვალს თუ რა ხდება დარბაზში. ანანოს, ხელში, საფენებში გახვეული, პატარა ხვლიკი უჭირავს.

ალექსანდრე

ახლა დაგვერხა.

ანანო

გაჩუმდი ერთ წამს, გამაგონე რას ამბობენ.

აიეტი

სად ნახეთ გველეშაპი? მისი მოკვლა რომ გინდოდათ?

იაზონი

კოლხეთის მიწას როგორც კი დავდგით ფეხი, თავზე უზარმაზარმა გველეშაპმა გადაგვიფრინა.

აიეტი ისევ ჩანს გადახედავს. ჩანი იაზონს დაკვირვებით უცქერის. ის იმ ცხვრის თავს ათვალიერებს დაკვირვებით, იაზონს ახლა ხელში რომ უჭირავს.

აიეტი

გადაგიფრინათ და ამიტომ გადაწყვიტეთ რომ მოგეკლათ?

იაზონი

თავს დაგვესხა და ბრძოლა გაგვიმართა.

ალექსანდრე

ახლა კი ნამდვილად დავიღუპეთ, და-ვი-ღუ-პეთ.

ანანო

ჩუმად, პატარას გაეღვიძება . . .

აიეტი

ჩვენთან ქურდობისთვის ძალიან მკაცრი სასჯელი არის.

იაზონი

ჩვენ არ ვაპირებდით არაფრის მოპარვას.

**აიეტი**

აბა, იმ გამოქვაბულში რა გინდოდათ სადაც ოქროს საწმისი ინახება?

**იაზონი**

ჩვენ ბერძენი გმირები ვართ. მე იაზონი მქვია, იოლკუსის ყოფილი მეფის, ესონის შვილი ვარ. ესენი ჩემი მეგობრები არიან, ჰერაკლე, ორფეოსი, ნესტორი…. . . .

აიეტი ყველას სახელის დასახელებას არ აცლის.

**აიეტი**

რატომ ყოფილი მეფის?

**იაზონი**

ღმერთებმა ასე ინებეს.

**აიეტი**

ოქროს საწმისის ქურდობის მცდელობისათვის, კოლხეთის კანონის მიხედვით, სუყველანი სიკვდილით დაისჯებით.

არგონავტები ახმაურდებიან, მცველები მათ გაყვანას ცდილობენ.

ამ დროს ოთახში მედეა შემოდის. მედეასა და იაზონის თვალები ერთმანეთს შეხვდება და ორივენი მონუსხულებივით ერთმანეთს უცქერენ. მედეა მამას ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს.

**აიეტი**

ჰოო? დაიცათ! გაათავისუფლეთ! როგორც სასიძოებს ისე მოექეცით. რამდენიმე დღეში ბრძოლები გამოაცხადეთ. ვინც გაიმარჯვებს, ჩემი ქალიშვილი მედეა, ოქროს საწმისი და კოლხეთის ნახევარიც მისი იქნება.

**მეცხრამეტე ეპიზოდი. არგონავტების მოსასვენებელი დარბაზი**

იაზონი მოსასვენებელი ოთახის აივნის მოაჯირს დაყრდნობია და მეოცნებე თვალებით, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქერის.

**იაზონი**

მე დღეს სული შემეგუბა,
გულმა შფოთვა დაიწყო.
მის თვალებში მომხიბვლელი,
მზის სხივები აინთო.
უდარდელად მე ვცხოვრობდი,
არ ვინდობდი არავის.
სიყვარულსაც დავცინოდი,
ხელს ვუწვდიდი არავის.
აჰა, მოვიდა ეს საოცრება,
ეს უცნაური გრძნობა.
მის გარეშე აღარ მინდა
მე ამ ქვეყნად უკვე ყოფნა.
შენგან მხოლოდ ერთი მინდა,
შენი ხატი თან ვატარო.
დღე და ღამე შენზე ფიქრით
ჩემი გული გავახარო.

არგონავტების მოსასვენებელ ოთახში ერთი აურზაური არის ატეხილი. არგონავტები ერთმანეთში ხმამაღლა არჩევენ აიეტის სიტყვებს.

**ნესტორი**

ყველამ კარგად გავიგონეთ აიეტმა რომ თქვა, კოლხეთში სასიძოები ჩამოვიდნენო!

**ჰერაკლე**

მერე რა გინდა მაგით შენ რომ თქვა?

**ნესტორი**

რა მინდა? ის მინდა, რომ მეც მივიღებ შეჯიბრებაში მონაწილეობას. იქნებ ჩემი ბედი კოლხეთშია, იქნებ მედეას რჩეული მე გავხდე.

**ორფეოსი**

შენც ამბობ რა ახალ ამბავს. ამ ტურში ყველა მივიღებთ მონაწილეობას.

**ჰერაკლე**

შენ გადაწყვიტე ხო? მე აღარ მეკითხები? მივიღებ თუ არა მონაწილეობას?

ნესტორი

შენი საქმის შენ იცი ძმაო. ჩვენ რამეში ხელს ხომ არ გიშლით?

ანდენეტუსი

ეი, იაზონ შენ ხმას რატომ არ იღებ. რა ბზიკმა გიკბინა, ასე რამ დაგამუნჯა ადამიანი?

იაზონი არც კი უსმენს მეგობრების კამათს, ის სადღაც ცაში დაფრინავს.

ჰერაკლე

იაზონ, შენ გეკითხებიან, შენი აზრი აინტერესებთ.

იაზონი

რა? რა აზრი, რის შესახებ?

ნესტორი

ჩვენც გვინდა მივიღოთ მონაწილეობა ბრძოლაში, მედეას გულის დასაპყრობად.

იაზონი

მიიღოთ? რატომ მიიღოთ?

ორფეოსი

ეე! იაზონ აზრზე მოდი. სად ხარ? სად დაფრინავ.

იაზონი

რა ლამაზი თვალები ქონდა, როგორც ქალღმერთ ათენას. როგორ სუნთქავდა, რა თმები . .

ანდენეტუსი

ვის ქონდა თმები იაზონ?

ნესტორი

მედეაზე ლაპარაკობს. მეც შევამჩნიე, რომ აბრეშუმივით თმები ჰქონდა. ზურმუხტივით ანათებდა მისი თვალები, მაგრამ რა ვქვათ ახლა .

**ჰერაკლე**

აცალე რა, ხომ ხედავ ჭკუაზე აღარ არის.

**ნესტორი**

ეგ შეიძლება დიდხანს ვერ მოვიდეს ჭკუაზე. ხვალ დილით კი ბრძოლები იწყება. უნდა მოვიფიქროთ ან ყველანი ვიღებთ მონაწილეობას ან კიდევ . . .

არგონავტების მოსასვენებელ ოთახში ხვლიკი ალექსანდრე შემოხტება.

**ანდემატუსი**

ამას აქ რაღა უნდა?

ანდამატუსი მახვილს აიღებს და ხვლიკს მოუქნევს. ალექსანდრე მოხერხებულად აიცდენს მახვილს. ანდამატუსი წონასწორობას დაკარგავს და იატაკზე დავარდება. ალექსანდრე განზე გამარჯვებული სახით გახტება.

**ჰერაკლე**

ამათი ხარიც თუ ასეთი მარჯვეა, ყველანი დავღუპულვართ და ის არის.

ჰერაკლე მძიმეთავიან ურროს მოუქნევს ალექსანდრეს. ალექსანდრე ამ შეტევასაც გაუსხლტება. ურო ოთახის კედელს მოანგრევს. ჰერაკლე გაბრაზდება და მეორედ მოუქნევს ალექსანდრეს ურროს. ალექსანდრე იაზონს შეახტება. ურროს სიმძიმით, ინერცია აღებული ჰერაკლე, იაზონისა და ალექსანდრესაკენ მოქრის. იაზონი გვერდით გაიწევა და ჰერაკლე, მოხარხარე არგონავტების ჯგუფს დაეტაკება. ის ყველას ერთიანად წააქცევს. ალექსანდრე იაზონს წერილს მისცემს, ის წერილს გახსნის. წერილი მედეასგან არის, ჯადოსნური წერილია. მისგან, მედეას გამჭვირვალე გამოსახულება ამოფრინდება და მღერის.

**მედეას გამოსახულება**

მე დღეს სული შემეგუბა,
გულმა შფოთვა დაიწყო.
შენს თვალებში მზეჭაბუკო,
ცეცხლის ალი აინთო.
უდარდელად მე ვცხოვრობდი,
არ ვინდობდი არავის.
სიყვარულსაც დავცინოდი,
ხელს ვუწვდიდი არავის.

აჰა, მოვიდა ეს საოცრება,
ეს უცნაური გრძნობა.
მის გარეშე აღარ მინდა,
მე ამ ქვეყნად უკვე ყოფნა.
შენგან მხოლოდ ერთი მინდა,
შენი ხატი თან ვატარო.
დღე და ღამე შენზე ფიქრით,
ჩემი გული გავახარო.

იაზონი მედეას გამოსახულებასთან მივა, უნდა ხელით შეეხოს, მაგრამ გამოსახულება პატარა ბურთულაკებად დაიშლება და გაქრება.

**მეოცე ეპიზოდი. იაზონის ხართან ბრძოლა.**

საბრძოლო მოედანი. სამეფო ლოჟაში აიეტი და მედეა სხედან. უკან ჩანი დგას და კიდევ რამდენიმე ვეზირი. ბრძოლის წამყვანი, მოედანზე გამოდის და ხმამაღლა იწყებს ბერძენი გმირების წარდგენას.

**წამყვანი**

ძვირფასო კოლხეთელებო და სტუმრებო. დღეს, დიდი სანახაობის მომსწრენი გავხდებით. საბერძნეთის საოცარი გმირები გამოცდიან თავიანთ ბედს. (წამყვანი თანდათან უწევს ხმას) გამარჯვებული ოქროს საწმისის მფლობელი გახდება.

მაყურებელი მქუხარე აპლოდისმენტებს დასცხებს. წამყვანი კიდევ უფრო მეტად აუწევს ხმას.

**წამყვანი**

გამარჯვებული მოიპოვებს მედეას გულსა და ხელს. მედეა მისი ცოლი გახ-დე-ბა.

ხალხი მქუხარე ოვაციებით ხვდება ამ ინფორმაციას.

**წამყვანი**

და მესამე, ის გახდება ნახევარი კოლხეთის მფლობელი ი ი ი ი ი ი ი ი ი ი

ისმის მრავალი ბარაბნის ხმა, მედოლეთა რითმულ ბგერებზე, მაყურებელთა შეძახილები.

**მაყურებელი**

მე-დე-ა, კოლ-ხე-თი, მე-დე-ა, კოლ-ხე-თი, მე-დე-ა, ოქრო, ოქრო, ოქ-როს სა-წმი-სი.

**წამყვანი**

> მაგრამ სანამ ყველაფერი ეს მოხდება, ჩვენს გმირებს დიდი ბრძოლის გზა აქვთ გასავლელი. ერთ-ერთმა მათგანმა უნდა დაამარცხოს კოლხი, ცეცხლოვანი ხარიიიიი!

ხარს საბრძოლო არენაზე გამოიყვანენ. მას ცხვირში, დიდი რკინის რგოლი აქვს გაყრილი და აქეთ-იქიდან მსხვილი თოკით, რამდენიმე ათეულ მეომარს უჭირავს. ხარი თავს გაიქნევს და მეომრებს მიმოფანტავს.

მაყურებელი საოცრად აღიგზნება. მეომრებისაგან გათავისუფლებული ხარი, ცხვირის ნესტოებიდან ცეცხლს გადმოაფრქვევს და წინა ცალ ფეხზე ჩაიჩოქებს. ხარი მაყურებელს ესალმება. დაფარული ადგილებიდან სხვა მეომრები გამოცვივდებიან ფარებითა და შუბებით შეიარაღებულნი. ხარი მათ ყურადღებას არ მიაქცევს, შებრუნდება და ბრძოლის მოედნიდან გავა.

**წამყვანი**

> აი, კოლხეთის ცეცხლოვანი ხარი. როგორი თავაზიანია, გეგონებათ ყოველთვის ასე კარგად იქცევა, მაგრამ თქვენ ხომ კარგად იცით, როგორი მუხანათი და დაუნდობელია. ის ყოველთვის წინ მიიწევს და შეტევაზე პირველი გადადის.

ხარი ისევ გამოვა ბრძოლის ველზე და ისევ თავს დაუკრავს მაყურებელს.

**ხალხი**

> ბული, ბული, ბული, ბული.

ალექსანდრე და ანანო მაყურებელთა წინა როგებში არიან მოკალათებულები. ანანოს უკვე ორი პატარა ხვლიკი ყავს ხელში აყვანილი.

**ანანო**

> წერილი ხომ მას გადაეცი პირადად.

**ალექსანდრე**

> აბა, რას ვიზამდი. ამხელა კაცი პატარა ბავშვი ხომ არ ვარ.

**ანანო**

> შენთან ერთად წაიკითხა?

**ალექსანდრე**

კი, როგორც კი წერილი გაშალა მედეა გაჩნდა, კინაღამ გადავირიე კაცი. ისე ასეთი რამეებისთვის უნდა გამაფრთხილო წინასწარ.

**ანანო**

შეხედე, ბერძნები გამოდიან . . ბერძნები!

**წამყვანი**

ჩემო ძვირფასო სტუმრებო. დღეს, ყველანი ჩემი სტუმრები ხართ და ამიტომაც ვარ ასეთი ბედნიერი. მივესალმოთ ჩვენს სახელოვან ბერძენ გმი-რებს!!!!

იაზონის მეთაურობით, საბრძოლო მოედანზე, ბერძენ მებრძოლთა გუნდი შემოდის. ისინი ბრძოლისათვის განკუთვნილ სარიტუალო, საომარ სიმღერასა და ცეკვას ასრულებენ.

**გმირები**

უცხო კოლხეთში მგავრობა,
სხვისთვის იქნებ საშიშია.
ჩვენისთანა ბიჭებისთვის
გასართობი თამაშია

მაყურებელთა ყურისწამღები გუგუნი ისმის. აიეტი მედეას გადახედავს და გადაულაპარეკებს.

**აიეტი**

მე ძალიან მომწონს ეს იაზონი. საკმაოდ კარგად აღზრდილია და ეტყობა, სერიოზული კაციც იქნება. თუ ბრძოლაში მოიგებს მართალი გითხრა გამეხარდება კიდეც. ნეტავ გუშინ რამ მათქმევინა, ყველანი ბრძოლაში მიიღებთ მონაწილეობასთქო.

მედეა მამას გახედავს.

**მედეა**

მამა, სიმართლე თუ გინდა იცოდე, მეც ძალიან მომწონს. კი არ მომწონს მიყვარს კიდეც.

**აიეტი**

ვის, შენ?

**მედეა**

წარმოიდგინე მე.

**აიეტი**

მერე, რას ვუცდით. შევწყვიტოთ ბრძოლა და გავმართოთ ქორწილი.

**მედეა**

მერე, რას იტყვის ხალხი?

**აიეტი**

ოო, ეს ხალხი. ერთი წუთით არ გაცლის თავისუფლად სუნთქვას.

**წამყვანი**

ახლა ჩვენი გმირები კენჭს იყრიან თუ ვინ შეებრძოლება ხარს პირველი. აჰა, გმირები იშლებიან. ალბათ არჩევანი გაკეთებულია და აი, ბედისწერა ჰერაკლეს ირჩევს. ის ხომ დაუმარცხებელი გმირია . . . ჰერაკლე გამოდის ბრძოლის მოედანზე. მივესალმოთ ძვირფასო მაყურებლებო საბერძნეთის დაუმარცხებელ გმირს ჰე-რა-კლეს.

**ხალხი**

ჰე-რა-კლე, ჰე-რა-კლე, ჰე-რა-კლე.

**ანანო**

ო, არა!!

**აიეტი**

ო, არა!

მედეა თვალებზე ხელს აიფარებს და საშინელი ხმით დაიკივლებს. მისი კივილი ხალხის ხმაურში სადღაც შორიდან ექოსავით ისმის.

**მედეა**

ო, არააااა!

**წამყვანი**

ჰერაკლე, უძლეველი ჰერაკლუსი. ღმერთთა ღმერთის, ზევსის ვაჟიშვილიშვილი. . . ახლა, სადაც არის, ჩვენ კოლხურ ხარს გამოუშვებენ, მაგრამ ეს რა ხდება? Hჰერაკლემ ზურგი აქცია მოწინააღმდეგეს. ალბათ ეს მისი ბრძოლის ხრიკი არის.

არენაზე გამოსული, ცეცხლისმფრქვეველი ხარი რომ დაინახავს ჰერაკლემ ზურგი აქცია, შეჩერდება. ხალხს გახედავს, ნესტოებიდან ცეცხლის ფრქვევას შეწყვეტს და თავჩაქინდრული, ისევ გასასვლელისაკენ წავა. გასვლისას ჩუმ-ჩუმად უკან იხედება, რამე ხრიკი ხომ არ მომიწყო ჰერაკლემო.

**წამყვანი**

ეს რა ხდება?! ამას რას ხედავს ჩემი თვალები?! ჰერაკლემ ზურგი აქცია მოწინააღმდეგეს?

ჰერაკლე იაზონთან მიდის და მის ფეხებთან მახვილსა და ფარს დებს.

**წამყვანი**

ნუთუ გმირი ჰერაკლე, ბრძოლიდან თავის კანდიდატურას ხსნის? Dდიახ, ის თავის ადგილს იაზონს უთმობს. აი, მესმის ვაჟკაცობა. მაშინ, როდესაც ჰერაკლე დარწმუნებული არის თავის გამარჯვებაში, ის იაზონს უთმობს ბრძოლის ასპარეზს . . . მაგრამ დაიცათ, რა ხდება ბრძოლის მოედანზე, ყველა ბერძენი გმირი, იაზონის ფეხქვეშ დებს თავიანთ საბრძოლო აღჭურვილობას.

არგონავტები სათითაოდ უარს ამბობენ ბრძოლაზე და საბოლოოდ მხოლოდ იაზონის კანდიდატურას ტოვებენ .

**აიეტი**

მედეა, შვილო, შეხედე რა ხდება ბრძოლის ველზე.

მედეას თვალებზე ისევ აქვს ხელი აფარებული და გაჰკივის. აიეტი მედეას მხარზე ხელს მოჰკიდებს.

**აიეტი**

გაახილე გოგო თვალები, ნუ დაგვიხეთქე ყურის ბარაბნები.

მედეა ჯერ თვალებს Cახელს და კივილს თანდათან შეწყვიტს. ბრძოლის ველზე იაზონი დგას ხმლითა და ფარით შეიარაღებული.

**ხალხი**

იაზონი, იაზონი, იაზონი

კოლხეთი, მედეა, კოლხეთი, მედეა,

ოქროს საწმისიიიიიიიიი

ხალხის ხმა, ექოსავით გადაუვლის მაყურებელთა რიგებს. განრისხებული ხარი შემოვარდება ბრძოლის ველზე. მას სულ სხვა სახე აქვს მიღებული.

**ალექსანდრე**

ხარი შეცვალეს, ხარი შეცვალეს ფსსს, ეი, იაზონ, აქეთ გამოიხედე! ჩაწყობას აქვს აქ ადგილი.

გაბრაზებული ხარი, სისხლიანი თვალებით, ალექსანდრეს გამოხედავს. ალექსანდრე პირზე ხელს აიფარებს და დიდ ნერწყვს გადაყლაპავს. ხართან ბრძოლისას იაზონი ხან ესპანელი ტორეადორივით თავდაჯერებულია და წარმატებული, ხან კიდევ ხარი ბურთივით აგორავებს აქეთ-იქეთ. იაზონი საბოლოოდ, მედეას ჯადოქრობის დახმარებით, ხარს დაიმორჩილებს,

**ოცდამეერთე ეპიზოდი. გამოქვაბულში**

ანანოს ორი პატარა ხვლიკი ხელში ყავს აყვანილი, ორი, ცოტა უკვე წამოზრდილი, მის გარშემო დარბიან.

**ანანო**

ფრთხილად როდამის, ფეხი არ წამოკრა, თავი არ გაიტეხო.

**მარია**

(პატარა ხვლიკი)

დედა, დედა! როდამისმა დამარტყااااااა

**ანანო**

მაცადე მარია, არ გრცხვენია როდამის? გოგონებს ასე ექცევიან?

ანანოს ხელში აყვანილი, ერთი პატარა ხვლიკი, ტირილს დაიწყებს.

**ანანო**

რა იყო ჩემო კარგო, რამ შეგაშინა ასე ძალიან. ცუდი სიზმარი ნახე?

ანანო პატარას ხელში დაარწევს, პატარას ჩაეძინება.

**როდამისი**

დედااااა!

**ანანო**

ოჰ, ღმერთო ჩემო

ანანო ასე წვალებით ალექსანდრესთან მივა. ალექსანდრე იღიმის, თავს იფხანს და თითქოს რაღაცაზე ფიქრობს.

**ანანო**

რა ქენი, შეახვედრე ერთმანეთს?

ალექსანდრე პასუხს არ აძლევს და ისევ იღიმება.

**მარია**

დედა დედა, შეხედე რას ვშვრები.

პატარა მარია მაღლა ახტება და ჰაერში ამოტრიალდება. მიწაზე მუცლით დაენარცხება.

**მარია**

Dდედااااა!

ანანო წამოიკივლებს, როდამისი სიცილისაგან მიწაზე გორავს.

**ანანო**

გაჩუმდი ახლავე. რამე ხომ არ დაიშავე გოგო.

მარია დედის კალთას ამოფარებული როდამისს ენას გამოუყოფს.

**ანანო**

შენ მაინც ამოიღე ხმა, რომ გეკითხები რა ქენითქო?

გაღიმებული ალექსანდრე ხმას ისევ არ იღებს და ანანოს თვალებით რაღაცაზე მიანიშნებს. ანანო იმ მიმართულებით გაიხედავს, საითაც ალექსანდრე ანიშნებს. ის ტყეში მიმავალ იაზონსა და მედეას დაინახავს.

**მედეა**

გველეშაპი? ის ხომ ჩემი მეგობარია, რა საჭიროა მასთან ბრძოლა? აი, მივალთ და შენ თვითონ ნახავ თუ რა კეთილი არის.

**იაზონი**

მახსოვს მე მაგის სიკეთე. კინაღამ დაგვხოცა სუყველა.

**მედეა**

ვინ სუყველა? სად? როდის?

მედეამ ისე იკითხა, თითქოს, არც კი ახსოვს თუ რა ამბავი დაუთია ახლად ჩამოსულ არგონავტებს, გველეშაპის ზურგზე შემომჯდარმა.

**იაზონი**

ვინ და ჩვენი ბიჭები, რომ ჩამოვედით მაშინ.

**მედეა**

ააა? ზღვის სანაპიროზე არა?

**იაზონი**

ხო, ზღვის სანაპიროზე. შენ საიდან იცი?

**მედეა**

მეც იქ ვიყავი, მის მხრებზე ვიჯექი. ჩვენ მხოლოდ ვთამაშობდით.

**იაზონი**

უპს, მაგარი თამაში გცოდნიათ.

**მედეა**

კარგი რა, ნუ ბრაზობ. აი ნახავ და შენი მეგობარიც გახდება. მას ყველა უყვარს ვინც მე მიყვარს.

მედეას სიტყვა “მიყვარს” უნებურად წამოსცდება. პირზე ხელს აიფარებს და გაფართოებული თვალებით უყურებს იაზონს.

**ოცდამეორე ეპიზოდი. ჩანი გველეშაპთან.**

გამოქვაბულში გველეშაპი დადის აქეთ-იქეთ და სიბრაზისაგან ცეცხლს აფრქვევს.

**გველეშაპი**

არა, არ შემიძლია, მედეას როგორ ვაწყენინო.

**ჩანი**

ეს შენი მოვალეობაა, რას ნიშნავს აწყენინო.

**გველეშაპი**

მედეა ხომ ჩვენი მეგობარია

**ჩანი**

შენი!

**გველეშაპი**

ხო, კარგი, ჩემი.

**ჩანი**

აქ მარტო მედეა არ მოდის. იაზონი მოჰყავს, ოქროს საწმისის სანახავად.

**გველეშაპი**

ნახონ მერე, შენ ამით რა გაკლდება?

**ჩანი**

ის მაკლდება, რომ იმ ვაჟბატონს ამ საწმისის ერთი ნაწილი აქვს, რომელიც როგორმე უნდა წავართვათ.

**გველეშაპი**

მე მაგ საქმეს ვერ ვიზამ. ბრძოლა კი ბატონო, რამდენიც გინდა, მაგრამ სხვისი ნივთების წართმევა? ეს ჩემი საქმე არ არის.

**ჩანი**

შენ არავინ გეკითხება, რა არის შენი საქმე და რა არა.

**გველეშაპი**

დაიწყო ახლა თავიდან.

**ჩანი**

ჩუმად, მგონი მოვიდნენ.

გამოქვაბულში მედეას ხმა ისმის.

**მედეა**

ხუნ ძი, ხუნ ძი სადა ხარ?

**ჩანი**

აბა, შენ იცი.

ჩანი ლაბადას აიფარებს და გაქრება. გველეშაპი შუბლზე ხელს მიიდებს და გამოქვაბულში გამოწეულ ქვას, თავს მაგრად დაკრავს. გამოქვაბულიდან მედეა და იაზონი გამორბიან. გამოსასვლელთან მედეა იაზონს ხელს დაავლებს და გვერდით გადახტებიან. G გამოქვაბულიდან ცეცხლის გორგალი გამოვარდება. მედეა ხმამაღლა იცინის.

**იაზონი**

რა არის სასაცილო? ესაა ჩემი მეგობარი არისო?

**მედეა**

მეგობარი რომ არ ყოფილიყო, ახლა წიწილებივით ვიქნებოდით შემწვარი. ვერ ნახე როგორ გვეთამაშებოდა?

**იაზონი.**

კარგი თამაში გცოდნიათ კოლხეთში. ვინ გვეთამაშებოდა, კინაღამ სული გამაძრო. შენ რომ არ მომხმარებოდი ნამდვილად დამლეწავდა.

**მედეა**

მე არაფერში არ მოგხმარებივარ, თვითონ გაგიშვა ხელი.

**იაზონი**

ხელი კი გამიშვა, მაგრამ ეს ჭრილობა დიდხანს მემახსოვრება.

იაზონი აბჯარს მოიხსნის და მკერდის მარცხენა მხარეს ჭრილობას აჩვენებს.

მედეა ხელს დაადებს და სისხლის დინება შეწყდება. ჭრილობა ნაწიბურს გაიკეთებს. მედეა იაზონს მიუახლოვდება და ჭრილობის ნაწიბურზე აკოცებს, ჭრილობა საერთოდ გაქრება.

იაზონი მედეას ხელს დაავლებს, ჰაერში აიტაცებს, გახარებული გარშემო დაატრიალებს და კოცნას დაუწყებს. გამოქვაბულის გამოსასვლელიდან, სიბნელეში, ჩანის თვალები გამოჩნდება, რომელიც მედეასა და იაზონს უთვალთვალებს.

**ოცდამესამე ეპიზოდი, სასახლის დერეფანი**

ალექსანდრე, მედეას წერილით, იაზონის მოსასვენებელი ოთახისაკენ ორ ფეხზე, უცნაურად გარბის. Gგზად, ვიღაცის ფეხს წამოედება და წაიქცევა. წერილი ხელიდან გაუვარდება. წერილს ქალი აიღებს, უკნიდან მედეას გავს, ქალი იაზონის მოსასვენებელ ოთახში შედის. ალექსანდრე განცვიფრებულია. ის ღიად დატოვებულ კარებში შეიჭყიტება. იქ იაზონი და მედეა არიან. ისინი მშვიდად საუბრობენ. ალექსანდრე ყურს მიუგდებას.

**მედეა**

ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, შენთან ერთად უნდა გავიქცე კოლხეთიდან. გველეშაპი დღეს არ ხუმრობდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, შენ ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდი. ამ ურჩხულის დამარცხება შეუძლებელია. გავიქცეთ იაზონ, მე სადაც გინდა იქ წამოგყვები.

ალექსანდრე ფრთხილად მიხურავს კარს და უკან მობრუნდება. მედეა კარებისკენ გაიხედავს, ის მიხვდება რომ მათ საუბარს ვიღაც ყურს უგდებდა. ალექსანდრე გზაში თავისთვის ლაპარაკობს.

**ალექსანდრე**

გადამრევენ ეს ქალები, ათასი ჭკუა აქვთ. ჯერ წერილიო, მერე თვითონ მიდის . . . მიყვარხარო . . . . . გავიქცეთო . . . გველეშაპს ვერ მოერევიო . . აბა, რის გმირია, გველეშაპს თუ ვერ მოერია? მასე მეც ხომ მივიღებდი შეჯიბრში მონაწილეობას . . . ოი,

ალქსანდრე, ალექსანდრე, რას ბოდიალობ. ცოლი, ერთი დუჟინა შვილები, მომინდომა ახლა მეფედ გახდომა.

ალექსანდრემ იმ ოთახის კარი შეაღო, სადაც რამდენიმე წუთის წინ მედეა და ანანო დატოვა. ალექსანდრე ოთახში რომ შევიდა, ანანომ და მედეამ კითხვის თვალებით გამოხედეს. ალექსანდრე გაოგნებისგან ხმას ვერ იღებს. ხელების და ფეხების ქნევით ცდილობს რაღაც თქვას, მაგრამ ბგერა არ ამოდის პირიდან. ხელს იაზონის ოთახისკენ იშვერს. მედეა და ანანო ვერ ხვდებიან თუ რისი თქმა უნდა ალექსანდრეს. ანანოს გონია რომ ის, როგორც ყოველთვის, ახლაც ხუმრობს.

**ანანო**

კარგი რა ალექსანდრე, გეყოფა რა ამდენი ტაკიმასხარაობა. ხომ ხედავ, შენს ხუმრობაზე არავის აღარ ეცინება. მარტო მე მნახე ბრიყვი, მაგ ხუმრობებით რომ შემაბი.

ალექსანდრეს ძაღლივით ენა გადმოუგდია და ხველებისაგან იგუდება. მედეა ალექსანდრეს ზურგზე დაკრავს ხელს.

**მედეა**

თქვი რამე, რას დამუნჯებულხარ, ალექსანდრე.

**ალექსანდრე**

შენ ახლა იქ არ იყავი?!

**მედეა**

სად იქ?

**ალექსანდრე**

იაზონთან.

**მედეა**

რა მინდოდა იაზონთან

**ალექსანდრე**

მაშაყირებთ ხო?

**ანანო**

გადამრევს ეს კაცი, თქვი რა მოხდა . . . არ იტყვი?

**ალექსანდრე**

მითხარით ხომ მეხუმრებით!

**ანანო**

თქვი რა მოხდა, თორემ გაგპუტე ახლა.

**ალექსანდრე**

რადა, მივდიოდი ჩემთვის, მივიმღეროდი. ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეთქვა იაზონისათვის. წარმოვიდგინე რა სახე ექნებოდა მე რომ დამინახავდა. პირველი წერილიც ხომ მე მივუტანე.

**ანანო**

იტყვი კაცო, თუ არ იტყვი?

**ალექსანდრე**

ხო, აბა რას ვშვრები? . . მივდიოდი ჩემთვისთქო და ვფიქრობდი . . .

**ანანო**

გავიგეთ რომ ფიქრობდი, მერე?

**ალექსანდრე**

მერე? რა მერე . . ფეხი დამიდეს და წავიქეცი. წერილი ხელიდან გამივარდა, რომ წამოვდექი, თავბრუ მეხვეოდა, მაგრამ არავის შეუმჩნევია. ალექსანდრე ის კაცი არ არის, რომ სისუსტე ვინმეს დაანახოს . . .

**ანანო**

ნუ გადამრიე ქალი, თორემ ახლავე გაგგუდავ, თქვი რა მოხდა.

იყვირებს ანანო. ალექსანდრეც ყვირის.

**ალექსანდრე**

რა მოხდა და იაზონის ოთხაში მედეა შევიდააااااااااა!!!!!!!!!!!!!!!!

**მედეა**

მედეა, მე?

ალექსანდრე ისევ ყვირის.

**ალექსანდრე**

ხო, შენ!

**ანანო**

შენ რა შეიშალე?

**ალექსანდრე**

თუ არ გჯერათ, წამოდით და ვნახოთ.

**ოცდამეოთხე ეპიზოდი. იაზონის მოსასვენებელი ოთახი.**

ცრუ მედეა იაზონს ეხვევა, ათასგვარი სასიყვარულო სიტყვებით ცდილობს იაზონი აცდუნოს და ოქროს საწმისზე უარი ათქმევინოს.

**ცრუ მედეა**

მითხარი რომ გიყვარვარ.

**იაზონი**

მიყვარხარ, საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ.

**ცრუ მედეა**

არა, მასე არა. მითხარი, რომ ჩემი გულისათვის ყველაფერს გააკეთებ. სიცოცხლესაც კი დათმობ.

იაზონი ოდნავ შეყოვნდება.

**ცრუ მედეა**

რა იყო, შეგეშინდა? მე შენი გულისათვის ცეცხლშიც კი ჩავვარდები.

**იაზონი**

არ შეიძლება ცეცხლის გარეშე გვიყვარდეს ერთმანეთი?

**ცრუ მედეა**

არ შეიძლება!

**იაზონი**

ხო და მაშინ ჩავვარდები, დავიწვები, დავიფუფქები და საერთოდ გავქრები.

**ცრუ მედეა**

არ გაქრე, ჩემო კარგო. მინდა, რომ სულ ჩემთან იყო, ოქროს საწმისზე უარი თქვა. მინდა, რომ ეგ ცხვრის თავი აქ დავტოვოთ და ახლავე გავიქცეთ შორს…, შორს . . სადაც ვერავინ მოგვძებნის.

**იაზონი**

სად გავიქცეთ? რატომ გავიქცეთ?

**ცრუ მედეა**

იმიტომ, რომ ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. მაკოცე, მაგრად მაკოცე.

იაზონი ცრუ მედეას ხელს მოხვევს და ტუჩებში მგზნებარედ კოცნის. კარები იღება და ნამდვილი მედეა გამოჩნდება. იაზონი აიხედავს და მედეას დაინახავს. მერე მის მკლავებში უღონოდ გადავარდნილ ცრუ მედეას დახედავს. იქ ჩანი არის. იაზონი ჩანს ხელს გაუშვებს და მედეას გაეკიდება. თვალებდახუჭული ჩანი იატაკზე დავარდება, ჩანში რაღაც ცვლილება ხდება, ის თითქოს ქალს ემსგავსება. იაზონი მედეას დაეწევა.

**იაზონი**

შეჩერდი მედეა! სად გარბიხარ!.

**მედეა**

აი, როგორი ყოფილხარ თურმე შენ!

**იაზონი**

მედეა, ეს ის არ არის რაც შენ გგონია.

**მედეა**

აი, როგორი ყოფილხარ თურმე შენ!

**იაზონი**

მედეა, ჩვენ სიყვარულს ვფიცავარ . . .

**მედეა**

აი, როგორი ყოფილხარ თურმე შენ! . . მამა ააა!

მედეა თვალებზე ხელს აიფარებს. ატირდება და გაიქცევა. იაზონი მხრებჩამოყრილი დგას, თავი აქვს ჩახრილი. რომ შემობრუნდება ანანოსა და ალექსანდრეს დაინახავს. ალექსანდრე ანანოს ზურგს ეფარება. იაზონი ხელს ჩაიქნევს და დერეფნიდან გარეთ გადის. იაზონის ოთახიდან ნახევრად ქალად ქცეული ჩანი გამოდის.

**ოცდამეხუთე ეპიზოდი. მედეასა და იაზონის სევდიანი სიმღერა.**

**მედეა**

სიყვარულო, სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა, ვისთვის წამება ხარო.
არ გიყვარვარ გზებიც დამილოცნია,
შხამად გერგოს რაც შენთვის მიკოცნია.

**იაზონი**

სიყვარულო, სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა, ვისთვის წამება ხარო,
მე რომ მკითხონ სიზმარივით ყოფილა,
რაც რომ გუშინ ნაზ ოცნებად მოვიდა.

**მედეა**

სიყვარულო, სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა, ვისთვის წამება ხარო.
არ გიყვარვარ გზებიც დამილოცნია,
შხამად გერგოს რაც შენთვის მიკოცნია.

**იაზონი**

სიყვარულო სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა ვისთვის წამება ხარო.
ნუთუ კოლხეთს მხოლოდ მიტომ მოვედი,
საყვარლისთვის გულს ლახვარი ჩამესო.

**მედეა**

სიყვარულო, სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა, ვისთვის წამება ხარო.
არ გიყვარვარ გზებიც დამილოცნია
შხამად გერგოს რაც შენთვის მიკოცნია

**იაზონი**

სიყვარულო სიყვარულო რა ხარო,
ვისთვის ტანჯვა ვისთვის წამება ხარო.
ვერ გამიგე შენ შეცდომა ძვირფასო,
ბრძოლის ველზე თავს მოვიკლავ ძვირფასო.

**ოცდამეექვსე ეპიზოდი. ბრძოლის მეორე რაუნდი.**

დრაკონის კბილებიდან ამოზრდილ მეომრებს ებრძოლება იაზონი. თითოეულ მეომარს, ამერიკული ფეხბურთის გუნდის წევრებივით აცვია. ისინი, ამერიკული ფეხბურთის მაგვარ თამაშში იბრძვიან. იაზონი მარტო არის, მას უჭირს მრავალრიცხვოვანი მოწინააღმდეგის გამკლავება. მოწინააღმდეგენი იაზონს აქეთ-იქეთ არბენინებენ. არც ნერვიულობენ, ბურთს შორს გადააგდებენ, იაზონი მისკენ გარბის, მერე წინ წასული მეომარი ბურთს ისევ უკან აბრუნებს და იაზონიც უკან გამორბის. ასე დიდხანს აწვალებდნენ იაზონს, მერე გოლიც გააქვთ. მეფის ლოჟაში აიეტი და მედეა სხედან. მედეა დამცინავი ღიმილით უცქერს იაზონის წვალებას.

**აიეტი**

ვერ გამიგია რა ხდება ამ ბიჭის თავს.

მედეა არ პასუხობს.

**აიეტი**

შვილო, შენ რას ფიქრობ?

**მედეა**

რა უნდა ხდებოდეს, დარბის!

**აიეტი**

მეც მაგას ვამბობ, რომ მარტო დარბის. სად არის ის
გმირი, გუშინ რომ ისახელა თავი?

**მედეა**

გაქრა მამა, გაქრა.

ნახევრად ქალად ქცეული ჩანი იაზონის მწვრთნელის სკამზე ზის, ის შესვენებას ითხოვს. ალექსანდრე თავს გადააქნევს.

**ალექსანდრე**

ნწ, ნწ, რა ბიჭი დაღუპა.

**ანანო**

ასეა, სულ სხვას აბრალებთ კაცები. იმან შემაცდინაო, ამან შემაცდინაო, ჩემი ბრალი არ არისო . . . თავი არ გაბიათ?

**ალექსანდრე**

კარგი რა ჩემო ფისუნა, მე რატომ მიჯავრდები?

**ანანო**

თქვენი ჯიში უნდა ამოწყდეს, რა ეშველება ახლა ჩემს მზეთუნახავს? როგორ გაუტეხეს გული . . ეს ხომ მისი პირველი სიყვარული იყო. . .

ალექსანდრე ისევ თავს გადააქნევს.

**ალექსანდრე**

ნწ, ნწ, რა ბიჭი დაღუპა

იაზონი ძლივს სუნთქავს, ჩანი იაზონს ეუბნება.

**ჩანი**

იაზონ, რა ხდება, რა გემართება? სად გაქრა საბერძნეთის სიამაყე, მოკაშკაშე ვარსკვლავი?

**იაზონი**

ეჰ, მოკაშკაშე ვარსკვლავი არა . . . აღარ მინდა ცხოვრება მედეას გარეშე. რა აზრი აქვს აიეტი სიკვდილით დამსჯის თუ მედეას სიყვარულის გარეშე ვიცხოვრებ.

**ჩანი**

იბრძოლე იაზონ! შენი სიყვარული მედეას გულს ისევ უნთებს . .

იაზონი წინადადების დამთავრებას არ აცდის ჩანს.

**იაზონი**

სიმართლე მითხარი, იცოდე არ მომატყუო. შენ ქალი ხარ თუ კაცი?

**ჩანი**

მე ერთ დროს ჩინეთის იმპერატორის უმცროსი ქალიშვილი, კოკუნი ვიყავი. ბოროტმა ჯადოქარმა მამაჩემი მოკლა, მე კაცად მაქცია და ჩვენს ქვეყანას დაეპატრონა.

**იაზონი**

მერე?

**კოკუნი (ჩანი)**

მერე ჩემი ჯადო მოიხსნებოდა თუ მე ვინმე, მომხიბვლელი რაინდი, სიყვარულით მაკოცებდა. შენი წყალობით, ახლა მე ისევ ქალად ვიქცევი.

**იაზონი**

მე . . მე. . . შენ არ მიყვარხარ, მე მხოლოდ მედეა მიყვარს.

**კოკუნი**

მეც მყავს შეყვარებული. გამოქვაბულში რომ გველეშაპია, ის ჩემი საქმროა.

**იაზონი**

როგორ Gგველეშაპი?

**კოკუნი**

ის გველეშაპად ქცეული, ჩემი საქმრო ხუნ ძია. ისიც ბოროტმა ჯადოქარმა გველეშაპად აქცია, მაგრამ მაინც ვერ დაგვაშორა ერთმანეთს.

შეჯიბრების მსაჯი ნიშანს მისცემს, რომ თამაში ისევ უნდა განახლდეს. იაზონი გასასვლელად ემზადება

**კოკუნი**

იაზონ, დაიჯერე შენი თავის. იბრძოლე მედეას სიყვარულისათვის. აჩვენე თუ როგორ გიყვარს ის და მედეა შენ აუცილებლად გაგიგებს.

იაზონი მოედანზე გარბის. კოკუნი იაზონს მიაძახებს.

**კოკუნი**

იბრძოლე იაზონ, მედეას სიყვარულის მოსაპოვებლად იბრძოლე!

მედეა კოკუნის ბოლო შეძახებას გაიგონებს და ისევ ირონიულად გაეღიმება.

**აიეტი**

რა იყო, რამე მოხდა?

**მედეა**

სად?

**აიეტი**

აბა ის ქალი რას ეძახის იაზონს?

**მედეა**

ის ქალი კი არა ჩანია, მამა!

**აიეტი**

გამაგიჟებს ეს ახალგაზრდები. დღეს კაცია, ხვალ კიდევ ქალი. ასეთი რამ ჩემს ახალგაზრდობაში არ ხდებოდა.

მსაჯი ნიშანს მისცემს, თამაში განახლდება. იაზონი საოცრად შეცვლილია. ის ქარზე უფრო სწრაფად დარბის. მოწინააღმდეგე გუნდის წევრები ვერაფერს უხერხებენ. იაზონი ბურთს მოისვრის სადღაც შორს. სირბილში ყველას ასწრებს ამ ბურთის მიღებას, მერე მეორე მხარეს მოისვრის ბურთს. მოწინააღმდეგეების მთელი გუნდი, ბურთის დასაჭერად გარბის, მაგრამ იაზონი აქაც ყველას დაასწრებს. ის მოწინააღმდეგეთა ფლანგზე შევარდება და ბურთს დაამიწებს. ამდენ ხანს, ჩუმად მჯდომი არგონავტები წამოიშლებიან და გამამხნევებელ, გულშემატკივართა მხარდამჭერ რიტუალსაც ჩაატარებენ.

**არგონავტები**

იაზონი კარგად იბრძვის,
ის ხომ გმირთა გმირია.
სიყვარული გზას უნათებს,
გამარჯვების ღირსია.

ანანოს პატარა ხვლიკთა ბავშვების გუნდიც წამოიშლება და არგონავტების სიმღერას იმეორებენ.

**ანანოს შვილები**

იაზონი კარგად იბრძვის,
ის ხო გმირთა გმირია.
სიყვარული გზას უნათებს,
გამარჯვების ღირსია.

იაზონი მეფის ლოჟისაკენ მიბრუნდება და ხმამაღლა გაჰყვირის.

**იაზონი**

> მედეა, მე შენ მიყვარხარ. ჩვენს სიყვარულს ხელს ვერავინ შეუშლის. ჩანი, პრინცესა კოკუნია, ის ხუნ ძის საცოლეა . . . მე-დე –ა ჩვენს სიყვარულს გეფიცები, რომ გავიმარჯვებ.

მოწინააღმდეგენი ბურთს, იაზონის მოედნის ნახევარზე ისვრიან. მაყურებლი გაირინდება. ბურთის მოხვედრას იაზონის კარში, თითქმის არაფერი აკლია. იაზონი დიდ ნახტომს გააკეთებს, თითქოს გაფრინდება კიდეც და ბურთს დაიჭერს. გაისმება მაყურებლის ხმამაღალი ყიჟინა. მედეა წამოხტება და ხმამაღლა დაიყვირებს.

**მედეა**

> იაზონ, მე შენ მიყვარხარ! მაპატიე!

იაზონი წამოდგება, ბურთს მკლავქვეშ ამოიდებს და მთელი ძალით მოწინააღმდეგის კარისაკენ გაქანდება. იაზონი გარბის, გზად შემხვედრ ყველა მებრძოლს აქეთ-იქეთ ყრის. ის თავისთვის ხმამაღლა იძახის.

**იაზონი**

> შეხედე მედეა, ეს ჩვენი ბედნიერი ცხოვრების გოლიაااااااااااااااა.

იაზონი ბოლო მოწინააღმდეგესაც დაეჯახება და ბურთს მათ ნახევარზე დაამიწებს. მაყურებელთა ერთიანი შეძახილი, იქაურობას Gაყრუებს. მედეა სკამიდან წამოხტება და დაბლა მოედანზე ჩარბის. მოედნის შუა გულიდან იაზონი გამორბის მის შესახვედრად. იაზონი მედეას ხელში აიტაცებს და გაგიჟებული კოცნას დაუწყებს.

ალექსანდრე ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდს.

**ალექსანდრე**

მეც კი ამატირეს, ამ ვერაგებმა, აბა!

**ანანო**

ალექსანდრე შეხედე! რა ხდება?

ალექსანდრე მოედანს გახედავს. მოედანზე ხუნ ძი შემორბის, რომელსაც ხელში უბრალო ცხვრის ტყავი უჭირავს. აქეთ-იქეთ იხედება, ვიღაცას დაეძებს.

**ხუნ ძი**

კოკუნი! მე ისევ ადამიანი ვარ! კოკუნი შემომხედე, მე ისევ . . . სადა ხარ კოკუნი!!!!!!!!!!!!!!!

**კოკუნი**

ხუნ ძი!

**ხუნ ძი**

კოკუნი!

კოკუნი და ხუნ ძი ერთმანეთს ჩაეხუტებიან. აქეთ მედეა და იაზონია ერთმანეთს ჩაკრული, იქეთ კოკუნი და ხუნ ძი. დრაკონის კბილებიდან ამოსული მეომრები თანდათანობით ქრებიან, მაგრამ მათ უკვე აღარავინ აქცევს ყურადღებას..

**ოცდამეექვსე ეპიზოდი. აიეტის სასახლე**

აიეტის სასახლეში მედეა, იაზონი, ხუნ ძი, კოკუნი, აიეტი, ალექსანდრე და ანანო არიან.

**აიეტი**

აბა, ჩემო იაზონ. ვინაიდან გველეშაპი უკვე აღარ არის გველეშაპი, არც არავისთან გაქვს საბრძოლო ოქროს საწმისისათვის. მომეცი ერთი ეგ ტყავი.

ხუნ ძი აიეტს ცხვრის ტყავს აწვდის.

**აიეტი**

მართალი რომ გითხრათ, ამ ტყავის ვერაფერი გამიგია. არც ბაბუაჩემმა იცოდა არაფერი. ერთხელ

კიდევაც მითხრა, უბრალო ცხვრის ტყავია და მეტი არაფერიო.

**კოკუნი**

მაგ უბრალო ცხვრის ტყავს, ჯადოსნური ძალა აქვს.

**აიეტი**

მამაჩემიც ასე იძახდა, მაგრამ ისე მოკვდა კაცი, რომ ვერაფერი გაარკვია.

**Kკოკუნი**

მე კი ვიცი მაგის საიდუმლოეობა.

**აიეტი**

აგაშენა ღმერთმა, თორემ გავქრი კაცი ამდენი ფიქრით. საქორწილოდ ეს უბრალო ცხვრის ტყავი, როგორ ვაჩუქო ჩემს ბავშვებსთქო. აბა, რა საიდუმლეობა აქვს, მითხარი.

**კოკუნი**

რა საიდუმლეობა აქვს? ეგ არ ვიცი.

**აიეტი**

გამაგიჟებს ეს ქალი თუ კაცი. წეღან ვიციო, ახლა არ ვიციო, ქალი ვიყავიო, კაცი გავხდიო, თუ კაცი ვიყავიო და ქალი გავხდიო.

**კოკუნი**

მე ვიცი, როგორ უნდა გახდეს ეს უბრალო ტყავი ჯადოსნური.

**აიეტი**

ნამდვილად იცი, ხომ?

**კოკუნი**

Kკი, ნამდვილად.

**აიეტი**

ა, ბატონო და გვაჩვენე.

აიეტი კოკუნის ცხვრის ტყავს მისცემს. კოკუნი ტყავს დიდ მაგიდაზე დადებს, ჩანთიდან ცხვრის ფეხებს ამოიღებს და ტყავს მიუწყობს.

**კოკუნი**

ეს ფეხები ტიბეტში მომცა ერთმა მოხუცმა. მითხრა, რომ აუცილებლად გამოგადგებაო.

**აიეტი**

ტიბეტში გითხრეს, რომ ცხვრის ფეხები კოლხეთში გამოგადგებაო?

**კოკუნი**

ხო, ტიბეტში.

**აიეტი**

რაღაც ვერ ვხედავ ვერაფერს.

**კოკუნი**

დაიცა ცოტა ხნით.

**აიეტი**

კი ბატონო, შენ ოღონდ საქმე გააკეთე. მე თუ გინდა ორი დღე არსად წავალ, აქ ვიქნები.

**კოკუნი**

ორი დღე არ არის საჭირო. ახლავე ყველაფერს გავარკვევთ. ერთი ეგ ცხვრის თავი მომეცი.

კოკუნი იაზონს საბერძნეთიდან ჩამოტანილ ცხვრის თავზე მიუთითებს. იაზონი ცხვრის თავს მისცემს. კოკუნი თავს, ტანს შეუერთებს და საოცრებაც იწყება. "ოქროს საწმისი" დროში გადასასვლელ კარიბჭედ გადაიქცევა. კარიბჭის იქეთ, ძველი ჩინეთის სამეფო არის, აქეთ კოლხეთის.

**კოკუნი**

ხუნ ძი, შეხედე, მამაჩემი. მამა! მამა!

კარიბჭის იქეთ, არავის არაფერი ესმის. აიეტი კარიბჭეში თითს შეყოფს

**აიეტი**

ვა, გადის.

**კოკუნი**

ეს ყოფილა ‘‘ოქროს საწმისის’’ საიდუმლოება. მისით დროსა და სივრცეში შეგიძლია გადაადგილდე.

**აიეტი**

მერე, მე არაფერი მომივა?

ახალგაზრდები გაიცინებენ.

**აიეტი**

რა ვთქვი ასეთი სასაცილო?

**მედეა**

მამა, დროსა და სივრცეში გადაადგილდები. ეს ისე ადვილია და გასაგები.

**აიეტი**

თქვენთვის ყველაფერი ადვილი და გასაგებია.

**ხუნ ძი**

ჩვენ ჩინეთში ვბრუნდებით..

**აიეტი**

კი ბატონო, ვუბრძანებ ცხენები მოამზადონ.

**მედეა**

მამა!

**აიეტი**

რა მამა, ბავშვებს წასვლა უნდათ, მე ხომ არ დავაკავებ?

**კოკუნი**

არა, ძია აიეტ, ცხენები არ არის საჭირო. ჩვენ აქ გავალთ და პირდაპირ ჩინეთში ვიქნებით.

აიეტი ეჭვის თვალით შეხედავს.

**აიეტი**

აქ გახვალთ და ჩინეთში აღმოჩნდებით, ხომ?

**კოკუნი**

ხო, ასეა.

კოკუნი მედეას გადაეხვევა.

**კოკუნი**

მშვიდობით მედეა, მშვიდობით იაზონ, მშვიდობით ანანო, ძალიან ვწუხვარ, რომ ადამიანად ვეღარ გაქციე. ჯადოსნური ძალა სულ დავკარგე.

**ანანო**

მშვიდობით ჩემო კოკუნი, მთავარია ბედნიერი იყო. სრულიად არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი ხარ თუ ცხოველი. მე კი ჩემს ქმართან და შვილებთან ბედნიერი ქალი ვარ.

კოკუნი და ხუნ ძი კარიბჭეში გადიან. რაღაც უცნაური ხმა გაისმება. კარიბჭე უეცრად აფეთქდება და მთლიანი გამოსახულება წაიშლება. "ოქროს საწმისს" ცხვრის ტყავს, ფეხები ისევ აკლია. სასახლეში აიეტი, მედეა, იაზონი, ალექსანდრე და ანანო დარჩნენ.

**აიეტი**

მაინც ვერაფერი გავიგე. გადამრევენ ეს ახალგაზრდები!

**დასასრული**